საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 13 ოქტომბერი. 2020 წ. №131 (9057) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გადარჩებიან თუ არა აფხაზები იზოლაციის, გლობალური პრობლემებისა და მუდმივი სტრესის პირობებში?!

რუსეთის „მეგობრული" მავნებლობა

⑧

რუკათა და... ქვათა ღაღადი!

დავით ხიდაშელის როლი კარტოგრაფების საქმეში

③

რატომ ვუსპობთ ახალგაზრდებს საქართველოში დარჩენის, მის სამსახურში ყოფნის სურვილს!

ქართველი არქიტექტორების მიმართვა კახა კალაძეს

ქართველი არქიტექტორები დედაქალაქის მერს კახა კალაძეს ძველი იპოდრომის განახლების პროექტთან დაკავშირებით განცხადებით მიმართავენ. საქმე ეხება ცენტრალური პარკის პროექტის უცხოური კომპანიის მიერ განხორციელებას, რაც ქართველი არქიტექტორების თქმით, ადგილობრივ ქალაქმგეგმარებლებსა და დიზაინერებს საქართველოში დარჩენისა და ქვეყნის სამსახურში ყოფნის მოტივაციას უკარგავს.

ქ. თბილისის მერს - ძველ იპოდრომთან დაკავშირებით, ქართველ არქიტექტორთა მეგობრული რჩევა

ბატონო კახა,

კონკურსი, როგორც იდეა, საუკუნეების მანძილზე საუკეთესო არქიტექტურული თუ ქალაქგეგმარებითი ნაწარმოებების, ნიჭიერი ავტორების (მეტწილად ახალბედების) წარმოჩენის საუკეთესო, შედეგიან საშუალებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ამ აღიარებული ჭეშმარიტების სრულ უგულებელყოფას ვახდენთ, უკვე დიდი ხანია. ხოლო განცხადება, რომელიც ა. წ. 4 ოქტომბერს თქვენგან მოვისმინეთ, ყოველივეს ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ირკვევა, რომ თბილისისთვის საოცნებო (იპოდრომის) იშვიათი პარკის პროექტი ერთმა ნიდერლანდურმა კომპანიამ უნდა შეასრულოს, ჩვენი პროფესიული საზოგადოება კი, როგორც ეს ხშირად ხდება, სტატისტის როლს უნდა დასჯერდეს. თუ ასე გავაგრძელებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოს უმაღლესი სკოლების მიერ ყოველწლიურად გამოშვებული 500 არქიტექტორი, ქალაქმგეგმარებელი, დიზაინერი დიდ გაუგებრობაში არიან მოხვედრილნი და ამ უკუღმართობას ქალაქის მმართველობაც უწყობს ხელს. სხვა სიტყვებით, ახალგაზრდებს საქართველოში დარჩენის, მის სამსახურში ყოფნის მიზანს ვუსპობთ, ეს კი, გვერწმუნეთ, ნამდვილად არ შედის ქვეყნის მიზნებში. მაღალი კლასის სპეციალისტებად მათი ჩამოყალიბება სხვა ფაქტორებთან ერთად არქიტექტურულ-გეგმარებითი კონკურსების სიმრავლემაც უნდა განაპირობოს. საქმე გამონაკლისს რომ ეხებოდეს, ამგვარ პესიმისტურ პროგნოზს არ გავაკეთებდით. მაგრამ სამწუხაროდ, პროექტირებისადმი ამგვარი დამოკიდებულება დარგის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილად ვაქციეთ. უკვე დიდი ხანია, მინიმუმ 15 წელიწადი. ჯერ არ არის დაგვიანებული გამოსწორდეს ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა. მიიღეთ ჩვენი რჩევა, განებავთ საქმიანი წინადადება, შეაჩერეთ ხსენებულ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება, გამოაცხადეთ ღია კონკურსი პარკის ესკიზურ პროექტზე. მით უმეტეს, რომ ასეთი მასშტაბის და მნიშვნელობის საპროექტო გადაწყვეტები ერთი ობიექტის პრობლემატიკით ვერ შემოიფარგლება. იგი კომპლექსურ, მრავალმხრივ გააზრებულ გეგმარებითი კონტექსტის დამუშავებას მოითხოვს. დაგვიჯერეთ, უპირობოდ მოითხოვს. გამარჯვებული ესკიზის საფუძველზე ავტორთა მონაწილეობით შესაძლებელი იქნება სრული პროექტი ისევ თქვენ მიერ შერჩეულმა ორგანიზაციამ დაამუშაოს. ამ კომპრომისული ვარიანტის განხორციელება თქვენთვის დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. პროცესი არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) მიერ აღიარებული, შესაბამისი წესების დაცვით წარიმართება, შედეგი კი დედაქალაქს, საზოგადოებას შეუდარებლად მეტ სიკეთეს მოუტანს!

პატივისცემით, არქიტექტორები – **პაპლე ძინძიბაძე, ფარნაოზ ზაქარაია, თენგიზ გოგოლაშვილი, ნუგზარ სვანიძე...**

დანა – ოპოზიციის ზურგში!..

გიგი უგულავა: ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის ყველაზე ბნელი ინსტინქტი გააღვივა!

ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის ყველაზე ბნელი ინსტინქტი გააღვივა, მან ოპოზიციის ერთობას ზურგში დანა ჩაარტყა. ამის შესახებ „ევროპული საქართველო“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგი უგულავამ „ფეისბუქზე“ გავრცელებულ ვიდეომიმართვაში განაცხადა.

„შარშან ოპოზიციის არნახული ერთიანობის ფონზე, როცა „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში ვიკრიბებოდით, უცნაურად გაისმა მიხეილ სააკაშვილის მოწოდება მისივე სახელობის ბიბლიოთეკის ალტერნატიულ ცენტრად გამოცხადების შესახებ. უხერხულობას მისივე თანაპარტიელებიც გრძნობდნენ, მაგრამ ერთობის მუხტი იმდენად ძლიერი იყო, ბიბლიოთეკას პროფილის შეცვლა არ მოუწია. ვინც იქ სააკაშვილს არ იცნობდა, გაკვირვებული დარჩა. მიშა ბორგავდა და არ მოსწონდა ფორმატი, სადაც პირადად არ იყო ერთპიროვნული ლიდერი, თორემ ენმ, ცხადია, ამ ერთობის ერთ-ერთი ლოკომოტივი იყო. ასე ამოიღო მიზანში ეს ერთობა არა მხოლოდ ბიძინამ, არამედ მიშამაც. ის, რასაც ვერ მიაღწია ივანიშვილმა, შედეგიანად განახორციელა სააკაშვილმა. ის, რომ 120-30-ზე მიღების მერე, საერთო ოპოზიციური სია არარეალური და არაფრის მომცემი იქნებოდა, ყველა ვთანხმდებოდით. სამაგიეროდ, ერთიანი მაჟორიტარის შერჩევა ერთობის და მრავალფეროვნების ყველაზე სწორ მოდელად გვესახებოდა. ამ აზრზე იყო ასევე „ნაცმოძრაობის“ ადგილობრივი ლიდერშიპიც.

ამასობაში გამოჩნდა მერაბიშვილიც, რომელმაც ენმ-ს შიგნით ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო. გააღვივა სააკაშვილის ყველაზე ბნელი ინსტინქტები, რომ ენმ-ს მარტო შეუძლია გამარჯვება, რომ ის უნდა იყოს პრემიერობის კანდიდატი და სწორედ ის, მერაბიშვილი ადგილზე უზრუნველყოფდა ამას. ასეც მოხდა. ენმ გავიდა ყველა შეთანხმებიდან, დაიყენა სააკაშვილი პრემიერობის კანდიდატად, გამოაცხადა – ან მე, ან ბიძინა, სხვა ყველა პარტიუკაა და არავითარი კოალიცია არ იქნება, თუ ენმ არ გაიმარჯვებს, ქვეყანა დაიღუპებაო. ვინც არ მიიღო თამაშის წესი, მტერი აღმოჩნდა. ჯერ გიორგი ვაშაძე, მერე „ევროპული საქართველო“, შემდეგ „გირჩი“.

ანუ სააკაშვილის ჩარევამდე ოპოზიციური ბრძოლის მოდელი, სატახტოთა თამაშების (Game of Thrones) მიხედვით რომ აღვწეროთ, იყო შემდეგი:

ყველა პარტია ცენტრსა და ფლანგებში განლაგებული ლაშქარივით, ხოლო ლიდერები – მაჟორიტარებად. მარტივად, ადამიანები წყვდიადის მეფისა და თეთრი მოხეტიალეების, ანუ ბიძინასა და ქოცების წინააღმდეგ, ახლა ომის წინა სცენა გვექნებოდა, როცა ბევრი ერთმანეთთან წარსულში დაპირისპირებული ლიდერი წყვდიადის ზომბების წინააღმდეგ ბრძოლისთვის როგორ შეხმატკბილებულად ემზადება.

სააკაშვილი ამ სცენარში მოიქცა როგორც სერსეი ლანისტერი, ზურგში ჩაარტყა დანა ოპოზიციის ერთობას, მხოლოდ საკუთარი ერთპიროვნული ძალაუფლებისთვის. მეტი მიზანი და იდეა მას უბრალოდ არა აქვს. ამის შედეგია, რომ ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი, ერთ დროს მმართველი და შემდეგ დაუნდობელი დევნის მსხვერპლი პარტია გადაიქცა რეაქციონერებისა და რეტროგრადების პარტიად. ახლა თავს იწყნარებენ, მთავარი ლიდერია და არა სია. დიახ, მთავარი ლიდერია, ოღონდ ეს სია ამ ლიდერის სარკეა. ასე გადაიქცა მთავარი ოპოზიციური პარტია სააკაშვილისა და მერაბიშვილის სავაჭრო სახლად.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, ახლა რა ხდება, წავაგეთ? არა, რა თქმა უნდა, თუ ფხიზლად და ყალბი მითების გარეშე შევხედავთ სიტუაციას. ივანიშვილს ვერ მოვიშორებთ, სანამ ბუფერად სააკაშვილი ეყოლება ამოფარებული. შვიდი წელია, ივანიშვილის თამაშია, აქეთ მე, იქით მიშა. ამ დაპირისპირებაში ბიძინა იგებს, მიშას კი იმედი აქვს, რომ ოდესღაც ბიძინა ისე მობერზრდება ხალხს, რომ ადრე თუ გვიან ძალაუფლება ხელში ჩაუვარდება. ამ თამაშში ყველას თავის როლი აქვს, ხალხის გარდა. ქვეყანა ჭაობში ეფლობა და მედლის ორ მხარეზე გამოსახულ „მეგატრონებს“ ეს საერთოდ არ ადარდებს.

გამოსავალი – ღიად და ცხადად, ყოველგვარი უკანა აზრების, გარიგებების გარეშე, ღიად და გამჭვირვალედ ვთქვათ, სადაც მუშტი ბიძინას, იქვე იდაყვი მიშას. არ შევუქმნათ კოალიცია ივანიშვილის ოცნებას და არ დავუჭიროთ მხარი სააკაშვილს პრემიერობის თანამდებობაზე. მხოლოდ ასეა შესაძლებელი ივანიშვილის მოჯადოებული წრის გარღვევა, რომლის მართალი ან ნაკლები პასუხისმგებლობით, მაგრამ სააკშვილიც შემოქმედია. ურჩხულთან ბრძოლაში ის სამწუხაროდ, ამ ურჩხულს დაემსგავსა.

მე გული მტკივა, რომ ამის აღწერა მიწევს. „ევროპულმა საქართველომ“ და პირადად მე ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ოპოზიციის ზემოთ აღწერილი სცენარი გამოსულიყო, ოპოზიციას ასე ებრძოლა და გაემარჯვა. მენანება ადამიანურადაც და პოლიტიკურადაც, მაგრამ ქვეყანა და მისი მომავალია მთავარი. გარდამტეხი ცვლილებები გვჭირდება, რაც ამ მოჯადოებული წრის გარღვევას გულისხმობს.

მთავარი ამოცანაა – 1. ოცნება 40 პროცენტს ქვემოთ დარჩეს; 2. ყველა ოპოზიცია ჯამურად იყოს ნაცმოძრაობაზე მეტი; 3. კოალიციური მთავრობა სააკაშვილის გარეშე.

დარწმუნებული ვარ და ვიცი, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ენმ-შიც უმრავლესობა ამ აზრზე აღმოჩნდება. სააკაშვილის პერსონალური საკითხის გამო, ივანიშვილის ხელისუფლებაში არავინ დატოვებს. იქ ბევრი პატრიოტი ადამიანია, რომელსაც ყელში აქვს ამოსული ასეთი არაადამიანური დამოკიდებულება. ეს მიღწევადია, თუ არ მივიღებთ ივანიშვილის თამაშს, რომ სააკაშვილია მისი ალტერნატივა. ამ ორმა ადამიანმა ქვეყანაზე მაღლა დააყენა ადამიანი, რის გამოც ხალხისგან პასუხს მიიღებენ. ჩაფლავებული ოცნებები და განიავებული იდეალები. მათი ადგილი მარკესისეულ ლაბირინთშია, სადაც ყველა დროის დაუძინებელი მმართველები ძალაუფლების მარადიულ დაბრუნებას ამაოდ ელოდებიან.

ხოლო ჩვენ, ვისაც „ოცნება“ ნაცებს გვიწოდებს, სინამდვილეში ვართ ვარდების რევოლუციის მემკვიდრეობა, ვისაც აღარ გვინდა საბჭოთა გადმონაშთები მმართველობაში, ეკონომიკაში და ყოფაცხოვრებაში. ხალხი, ვინც სხვადასხვა პარტიაში ვართ და ცივილიზებულად შეგვიძლია თანაარსებობა. დიახ, ძალიან უცნაური არჩევნებია – წინ მუშტი ივანიშვილს და იქვე უკან იდაყვი სააკშვილს. ეს არის გამარჯვების ფორმულა დღეს“, – განაცხადა **გიგი უგულავამ.**

შალვა ნათელაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას“ ვურჩევ, ვანო მერაბიშვილი ახლოს არ გაიკარონ

მეგობრული რჩევა **შემიძლია მივცე პარტნიორ „ნაციონალურ მოძრაობას“, არ გაიკარონ ახლოს ვანო მერაბიშვილი,** – ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა „ევროპული საქართველოს“ წევრის, გიგი უგულავას განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

მისი თქმით, „ლეიბორისტულ პარტიას“ ოპოზიციის ერთიანობის იმედი აქვს...

საქართველოში დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას აშშ-ის სამხედრო, საზღვაო ბაზები და განლაგდეს ბირთვულ-კოსმოსური იარაღი

ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა.

ნათელაშვილის თქმით, ეს არის გამოსავალი, რომ რეგიონში გეოპოლიტიკურ აფეთქებებს ქართული სახელმწიფოებრიობა, თავისუფლება და სუვერენიტეტი არ შეეწიროს.

„ყარაბაღის ომმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ჩვენს რეგიონში გეოპოლიტიკური აფეთქებები გაგრძელდება საკმაოდ დიდხანს, რასაც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება შეეწიროს ქართული სახელმწიფოებრიობა, ჩვენი თავისუფლება და სუვერენიტეტი. გამოსავალი აქედან არსებობს – საქართველოში დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები, საზღვაო ბაზები და განლაგდეს ბირთვულ-კოსმოსური იარაღი.

ათენში მიხეილ სააკაშვილზე თავდასხმა სცადეს

ემიგრანტების ინფორმაციით, **საბერძნეთში, ათენში საქართველოს ყოფილ პრეზიდენტზე, მიხეილ სააკაშვილზე თავდასხმა სცადეს.**

ემიგრანტები სოციალურ ქსელში ვიდეომასალას ავრცელებენ და აცხადებენ, რომ შემთხვევა მიხეილ სააკაშვილისა და ემიგრანტების შეხვედრამდე შენობის გარეთ მოხდა. ვიდეოში ჩანს, რომ უცნობი მამაკაცი სააკაშვილს ფიზიკურად უსწორდება. მათივე ინფორმაციით, დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

ქართველი ნაცისტი საფრანგეთში

საფრანგეთში, რივოლის ქუჩაზე მდებარე შენობის სვეტებზე, ქართველმა მამაკაცმა 20-მდე ნაცისტური სვასტიკა გამოსახა. ინფორმაციას, პარიზის პროკურატურა ავრცელებს. ეჭვმიტანილი 1989 წელს საქართველოში დაბადებული მამაკაცია.

ფაქტს პარიზის მერია და პირადად საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯერალდ დარმანინი გამოეხმაურნენ. სოციალურ ქსელ Twitter-ზე, პარიზის მერია ინფორმაციას ავრცელებს, რომ „უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა“ მამაკაცი უკვე დაიკავა. დასუფთავების ჯგუფები სასწრაფოდ ჩაერევიან ამ საკითხში და ყველა ნაკვალევს გააქრობენ.

დავით ხიდაშელის როლი კარტოგრაფების საქმეში

რუკათა და... ქვათა ღაღადი!

ბერძნული კომპანია INTRACOM S.A. TELECOM SOLUTIONS-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დავით ხიდაშელი ე.წ. კარტოგრაფების საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა. INTRACOM S.A. TELECOM SOLUTIONS აქციების 51%-ს რუსული საფინანსო-ინდუსტრიული ჯგუფი АФК „Система“ ჩეხეთში დარეგისტრირებული ფირმის მეშვეობით ფლობს. თავად ხიდაშელი რუსული „სისტემის“ ვიცე-პრეზიდენტი იყო 2007-2014 წლებში. ქართველ გამომძიებლებთან, 25 აგვისტოს ჩატარებული გამოკითხვისას ხიდაშელი ამბობს, რომ ის კარტოგრაფიული საქმიანობითაა დაკავებული ბოლო 20 წლის განმავლობაში, აქვს დიდი პირადი არქივი და საშუალება, მოიძიოს რუკები კონკრეტული სახელმწიფოს შესაბამისი უწყებიდან.

დავით ხიდაშელის ჩვენების მიხედვით, მას ერთი წლის წინ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შუამავლის მეშვეობით 1936-1938 წლებში გამოცემული საქართველოს რუკების მოძიება სთხოვა. ხიდაშელი რუკებს რუსეთის სამ სხვადასხვა ორგანიზაციასა და საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის არქივში ეძებდა.

ხიდაშელმა რუკები მარტში რუსეთის სახელმწიფო ფედერაციულ საბიუჯეტო დაწესებულებაში მოიძია; **„გეოდეზიის, კარტოგრაფიის და ინფრასტრუქტურის სივრცითი მონაცემების სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან“** ხელშეკრულება თავდაპირველად მის მაგივრად „იმ დროისთვის თანამშრომელმა“ **სერგეი ბრაგინმა** გააფორმა. მოპოვებულ რუკებს ხიდაშელმა აპრილში, ისევ რუსეთში, ექსპერტიზა თავად ჩაუტარა; ზაფხულში, ივლისსა და აგვისტოში, მოწვეულ სპეციალისტად დაესწრო შეხვედრებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. შეხვდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის წევრებს, ყოფილ და მოქმედ ექსპერტებს, მათ შორის ივერი მელაშვილს და ნატალია ილიჩოვას, რომლებიც ხიდაშელის მიერ რუკების მოპოვების შემდეგ **„უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედების განხორციელების ფაქტზე“** დაწყებული გამოძიების მთავარი ბრალდებულები აღმოჩნდნენ.

საქმე საქართველო-აზრეგაიჯანის საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის პროცესს ეხება, რომელიც 1996 წელს დაიწყო. ორი ქვეყნის კომისიების დონეზე 24 წლის განმავლობაში საზღვრის მხოლოდ 66 პროცენტია შეთანხმებული. საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთზეა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლის, VI საუკუნეში აშენებული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაახლოებით 2%.

ზაფხულში შეხვედრისას, იხსენებს ხიდაშელი გამომძიებლებთან, მან მელაშვილს და ილიჩოვას ჰკითხა, თუ რატომ არ იყენებდნენ 1938 წლის რუკებს. ხიდაშელის თქმით, საზღვრის დამდგენი კომისიის ყოფილი წევრებისგან პირდაპირი პასუხი მის კითხვაზე არ მიუღია; ნატალია ილიჩოვას ის საკითხის საფუძვლიანად მცოდნე სპეციალისტს უწოდებს.

ხიდაშელი გამოკითხვისას ამბობს იმასაც, რომ მიუხედავად 1996 წლის ივნისის შეთანხმებისა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საზღვრის დემარკაციისას 1938 წლის რუკას გამოიყენებდნენ, იმავე, 1996 წელსვე, კომისიამ 1978 წლის რუკებით დაიწყო მუშაობა და ეს ამბავი სიახლეს არ წარმოადგენდა;

დავით ხიდაშელის ჩვენების მიხედვით, რომელსაც „რადიო თავისუფლება“ გაეცნო, 1938 წლისა და უფრო ადრეული საქართველოს რუკების მოპოვების პროცესი ასეა აღწერილი:

- 2019 წლის ოქტომბერი – ხიდაშელს მისი მეგობარი **ბეჟან მაისურაძე** სთხოვს დახმარებას 1936-1938 წელს გამოშვებული საქართველოს რუკების მოპოვების საქმეში, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სჭირდება.
- საჭირო რუკები ხიდაშელმა მოსკოვში, სახელმწიფო ფედერაციული საბიუჯეტო დაწესებულების, **„გეოდეზიის, კარტოგრაფიის და ინსფრასტრუქტურის სივრცითი მონაცემების სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრში“** იპოვა;
- 2020 წლის მარტში ამ რუკების მოსაპოვებლად მის მაგივრად **სერგეი ივანეს ძე ბრაგინმა** გააფორმა ცენტრთან ხელშეკრულება. ხიდაშელის განმარტებით, ბრაგინის ჩართვა საქმეში იმისთვის დასჭირდა, რომ თვითონ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე არ არის, თუმცა მისივე ცნობით, მოგვიანებით „გეოდეზიის, კარტოგრაფიის და ინსფრასტრუქტურის სივრცითი მონაცემების სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან“ თავადაც გააფორმა ხელშეკრულება.
- „გეოდეზიის, კარტოგრაფიის და ინსფრასტრუქტურის სივრცითი მონაცემების სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა“ ხიდაშელს 1:200 000 მასშტაბის 4 რუკა გადასცა. ყველა მათგანი შედგენილი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭოს მიერ.

K-38-22 შედგენილი 1933 წელს;
K 38-23 შედგენილი 1938 წელს;
K 38 28 შედგენილი 1936 წელს;
K 38-29 შედგენილი 1938 წელს.

- დავით ხიდაშელმა ხელშეკრულება გააფორმა სს **„სივრცული მონაცემების და სერვისების ოპერატორთან“**, რომელმაც თავის მხრივ ხელშეკრულება გააფორმა **სს „ურალგეოინფორმთან“**. 2020 წლის მაისში გაფორმებული ხელშეკრულების მიზანი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის 1938 და 1978 წლებში, ისტორიულად არსებული სახელმწიფო სასაზღვრო ზოლის შედარება და ციფრული თემატური რუკების შექმნა. ეს მასალა ხიდაშელმა ივლისში მიიღო.
- საკვლევი მასალა და კვლევის შედეგები ხიდაშელმა საქართველოს 2020 წლის აპრილსა და ივლისში ორ ეტაპად და როგორც თვითონ აღნიშნავს, უსასყიდლოდ გადასცა.

> **ხიდაშელმა 1 : 500 000 მასშტაბის, 1938 წელს შედგენილი ქართულენოვანი ადმინისტრაციული რუკა მოიპოვა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის არქივშიც. მისი თქმით, ამ რუკაზე მისი მასშტაბის მიუხედავად ნათლად ჩანს, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან არსებულ მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვარი გადიოდა მთის ძირში და არა მთის მწვერვალზე. ამასთანავე, ჩიჩხიტურის კოშკი და ბერების კელიები საქართველოს ტერიტორიაში იყო მოქცეული.**

- 2020 წლის 30 ივლისს_დავით ხიდაშელი და ბეჟან მაისურაძე საგარეო საქმეთა სამინისტროში ხვდებიან კომისიის თავმჯდომარე ლაშა დარსალიას. ხიდაშელი ამ შეხვედრას მიწვეული სპეციალისტის სტატუსით ესწრება და დღეს უკვე ე.წ. კარტოგრაფების საქმეზე ბრალდებულ ივერი მელაშვილს ეკითხება, რატომ არ გაითვალისწინეს 1938 წლის რუკა და რატომ იყენებდნენ მის ნაცვლად 1978 წლის და შემდგომ პერიოდში შედგენილ რუკებს. ხიდაშელის თქმით, კითხვაზე მას პირდაპირი პასუხი არ მიუღია.
- 2020 წლის 1 აგვისტოს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში კვლავ შედგა შეხვედრა დავით ხიდაშელისა და ბეჟან მაისურაძის მონაწილეობით. ამ შეხვედრას ესწრებოდა ე.წ. კარტოგრაფების საქმეზე ბრალდებული ნატალია ილიჩოვა, რომელსაც ხიდაშელი იგივე კითხვას უსვამს რუკებთან დაკავშირებით, რაც ივერი მელაშვილს დაუსვა 30 ივლისს. ნატალია ილიჩოვა მას პასუხობს, რომ რაიონული მიწათმომწყობი კომისიების მონაცემებით შედგენილი რუკები შეცდომებით არის დაბეჭდილი და კომისია ამის გამო არ იყენებს მათ.

დავით ხიდაშელი ჩვენებაში ამბობს, რომ მის მიერ მოპოვებულ მასალას გრაფიკული ანალიზი რუსეთშივე ჩაუტარდა და ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გამყოფი ზოლის ფართობებს შორის 1938 და 1978 წლების რუკების მონაცემებით, სხვაობა 16 164 ჰექტარია, ხოლო 1938 წლის და 2006 წლის დელიმიტაციის კომისიის დოკუმენტაციით განსაზღვრულ შეუთანხმებელ მონაკვეთს შორის 8 601 ჰექტარია. **იმის დაზუსტებას, თუ ამ ფართობიდან რა მონაკვეთია საქართველოს და რა მონაკვეთი აზერბაიჯანის მხარეს, ხიდაშელი გამოძიებას ჩვენების მიცემიდან რამდენიმე დღეში შეეპირდა.**

ხიდაშელი გამოძიებას 25 აგვისტოს ჩატარებული გამოკითხვისას ეუბნება, რომ **„საქართველო აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები შეთანხმებულია, მაგრამ არ არის შედგენილი, ხელმოწერილი და რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმება, რაც საქართველოს მხარეს შესაძლებლობას აძლევს, არგუმენტირებულად და დასაბუთებულად საკითხი დააყენოს თუნდაც საზღვრის შეთანხმებული მონაკვეთების გადახედვასა და ცვლილებებზე.“**

მან ასევე იცის და ჩვენებაშიც ამბობს, რომ საქართველოს არა აქვს შეთანხმებული ჩიჩხიტურის კოშკი და ბერების კელიები, რომელზეც საქმის მეორე მნიშვნელოვანი მოწმე ბერი კირიონი ამბობს, რომ ეს ტერიტორია **„წინა ხელისუფლების არასწორმა და არაპროფესიონალურმა განცხადებებმა დააკარგინა ქართულ მხარეს“.**

დავით ხიდაშელი წუხელ საქართველოში დაბრუნდა. 25 აგვისტოს მიცემული ჩვენების მიხედვით ის ასზე მეტი რუკის ორიგინალის და დამხმარე დოკუმენტაციის გადაცემას ხვალ გეგმავს სახელმწიფოსთვის.

ქართული მედიის ყურადღების ცენტრში ხიდაშელი პირველად 2020 წლის 13 აპრილს მოექცა, როდესაც 1.2 მილიონი ლარი შეწირა სტოპ-კოვიდის ფონდს.

2004-2009 წლებში ის მოსკოვში იუნესკოს მსოფლიო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტად მუშაობდა, 2007 წელს კი შეუერთდა ტელეკომუნიკაციების სფეროში მომუშავე მსხვილ რუსულ საინვესტიციო კორპორაციას Sistema JSFC-ს, სადაც აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის პოსტსაც იკავებდა, ასევე იყო ინოვაციების დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტი და დირექტორი.

2012 წლიდან „სისტემის“ დირექტორთა საბჭოს წევრია ქართული წარმოშობის კიდევ ერთი ბიზნესმენი, დავით იაკობაშვილი.

პროკურატურამ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დადგენის საქმეზე სახელმწიფო კომისიის ყოფილი წევრები ივერი მელაშვილი_და ნატალია ილიჩოვა 7 ოქტომბერს დააკავა, 8 ოქტომბერს კი სასამართლომ ორივეს წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. არც ერთი დაკავებული ბრალს არ აღიარებს და გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს.

სახელმწიფო ბრალდება ამტკიცებს, რომ საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის ყოფილი წევრები აზერბაიჯანთან საზღვრის დადგენისას იმ რუკებს იყენებდნენ, რომელზეც საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანთან არასწორად არის დატანილი, მათ შორის, დავით გარეჯის მონასტრის მონაკვეთთან.

ნასტასია არაბული

საქართველო საპარლამენტო არჩევნებისთვის წინ არც ერთ პარტიას არა აქვს საკმარისი ნდობა საზოგადოებაში, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, აბსოლუტური უმრავლესობით შევიდნენ პარლამენტში და შეძლონ, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მთავრობა. დიდია იმ ადამიანთა რაოდენობაც, რომლებსაც პოზიცია არ გამოუხატავთ, ან არ იციან, ვის მისცემენ ხმას.

ამერიკელი „ნაცი“ ანალიტიკოსები ისევ ხავსს ეჭიდებიან!

მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის მიხედვით, მხოლოდ გამოკითხულთა 36 პროცენტს აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცემს ხმას. კვლევის შედეგები 14 სექტემბერს გამოქვეყნდა. 17 სექტემბერს საერთშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ახალი კვლევის შედეგები გახდა ცნობილი, სადაც გამოკითხულთა 23 პროცენტი ამბობს, რომ არა აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცემს ხმას. გამოკითხულთაგან ვინც იცის, ვის აძლევს ხმას 2020-ის არჩევნებში, მონაცემები პარტიებზე ასე გადანაწილდა:

● ქართული ოცნება	36%
● ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია	15%
● ევროპული საქართველო	4%
● სტრატეგია აღმაშენებელი	4%
● პატრიოტთა ალიანსი	4%
● ლეიბორისტული პარტია	3%
● ალეკო ელისაშვილის პარტია	2%
● ლელო	2%
● გირჩი	2%

სწორედ ამ მონაცემების გამო ჩნდება კითხვა, თუ რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიები შევლენ და ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ მთავრობის ფორმირებას? ამ კითხვით „ამერიკის ხმამ“ ვაშინგტონში გამოცდილ დიპლომატებს მიმართა, რომლებსაც საქართველოს თემატიკაზე აქვთ ნამუშევარი, კარგად იცნობენ ქვეყანაში არსებულ ვითარებას და პოლიტიკურ პროცესებს.

კურტ ვოლკერი რომელიც ამერიკის ელჩი იყო ნატოში და კარგად იცნობს როგორც რეგიონში, ასევე საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ამბობს, რომ პარტიებს შორის ურთიერთობა ძალიან რთული იქნება. დიპლომატი საქართველოში რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა და როგორც მმართველ გუნდთან, ასევე ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან გამართა შეხვედრა.

„მე ბევრი რამ ვიცი ორ პარტიას („ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“) და განსაკუთრებით, ორი პარტიის ორ ლიდერს შორის (მიხეილ სააკაშვილი, ბიძინა ივანიშვილი) მტრობის შესახებ, ასე რომ, რეალისტურად რომ ვიფიქროთ, მათ შორის რეალური თანამშრომლობა ძალიან ნაკლებად სავარაუდოა. მე ორივე პარტიაში მყავს მეგობრები და როდესაც მათთან მაქვს საუბარი, რეალურად მათ შორის არსებობს საკითხები, რომლებზეც თანხმდებიან და საკითხებს ერთნაირად აღიქვამენ. მიუხედავად მხარეებს შორის მტრობისა, ზოგ საკითხზე მათ შეუძლიათ, გამონახონ საერთო ენა. შეძლებენ, თუ არა ამას, ეს სხვა საკითხია,“ — ამბობს კურტ ვოლკერი.

მმართველი გუნდი „ქართული ოცნებიდან“ ამბობს, რომ ისინი არჩევნებს მოიგებენ და მთავრობას დააკომპლექტებენ. ამ დროისთვის ამ პარტიას ყველაზე მაღალი ნდობა აქვს საზოგადოებაში ყველა კვლევის მიხედვით. თუმცა, ამ კვლევებით არ იკვეთება, რომ პარტია შეძლებს საკუთარი ძალებით დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს მთავრობა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, მეორე ადგილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იკავებს. ოპოზიციურ სპექტრში პარტიას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. რამდენიმე კვირის წინ, კი მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში „დაბრუნების“ შესახებ ისაუბრა და თქვა, რომ „პრემიერობა“ სურს.

თუმცა, საქართველოში ჩატარებული კვლევების თანახმად ამ პარტიას არა აქვს საკმარისი ნდობა საზოგადოებაში, რომ მიღებული ხმებით მთავრობა დაკომპლექტოს.

„წინა ხელისუფლებასაც და მოქმედსაც აქვთ დადებითი და უარყოფითი მხარეები. არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი. ამ დროისთვის ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ არავის აქვს უმრავლესობა. ამიტომ, საჭირო იქნება ერთგვარი კოალიციის შექმნა მთავრობის ფორმირებისთვის. კარგია, რომ პოლიტიკური კრიზისი დასავლელი პარტნიორების ძალისხმევით გადალახულია და საქართველოში ჩამოყალიბდა ბევრად უფრო პროპორციული სისტემა, ვიდრე ეს იყო წარსულში. ეს უკვე არის ვითარების გაუმჯობესება. როგორც უკვე აღვნიშნე, მოქმედიც და წინა ხელისუფლებაც არ არიან სრულყოფილები. ერთ მხარეს არის ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, მეორე მხარეს მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ როდესაც სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში, ის იკავებდა კონკრეტულ თანამდებობას, რაც ვერ ვნახეთ ივანიშვილის შემთხვევაში. მე ვისურვებდი, რომ პროცესები უფრო ნაკლებად გახდეს კონკრეტულ პირებთან დაკავშირებული და ის იყოს პრობლემებზე დაფუძნებული.

მნიშვნელოვანი არჩევნები იქნება და ეს პერიოდი, რაც არჩევნებამდე არის დარჩენილი, გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქართულ პოლიტიკაში, რადგან ბოლო კვლევები, რომელსაც მე გავეცანი, ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს, რომ ე.წ. გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ძალიან ბევრია. ეს კი ნიშნავს, რომ 31 ოქტომბრამდე მოვლენების განვითარებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ეს ადამიანები,“ — ამბობს **დევიდ კრამერი.**

* * *

პოლიტოლოგები, დიპლომატები და საქართველოს თემატიკაზე მომუშავე ამერიკელი სპეციალისტები ცალსახად ამბობენ, რომ 2020-ის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება, რათა უნდა მოხდეს დადასტურება იმისა, რომ საქართველო ერთგულია დემოკრატიული პრინციპების მიმართ. ყველა მათგანი ასევე თანხმდება, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესები მხოლოდ კონკრეტულ პირებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული და ე.წ. მესიების დრო უნდა დასრულდეს. ამის შესახებ „ამერიკის ხმასთან“ ამერიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოში **კენეტ იალოვიცმა** ისაუბრა („ამერიკის ხმის“ ეს დიალოგი ჩვენი გაზეთის წინა ნომერში იხილა მკითხველმა).

კენეტ იალოვიცი ისურვებდა, რომ „ძველმა, გამოცდილმა და ძლიერმა“ ქართველმა პოლიტიკოსებმა საშუალება მისცენ ახალგაზრდებს ჩაერთონ პოლიტიკაში და მათ ქვეყნის მართვაში მიიღონ მონაწილეობა...

საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე 17 დღეა დარჩენილი. პროცესს დასავლეთი ყურადღებით აკვირდება. „(ეს ეტაპი) ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა“, ამბობენ ანალიტიკოსები და დიპლომატები ვაშინგტონიდან და იმედოვნებენ, რომ არჩევნები საქართველოში თავისუფალ და გამჭვირვალე გარემოში ჩაივლის.

არის, თუ არა საქართველო დემოკრატიული ღირებულებების ერთგული — ამ ერთგვარ ტესტზე შედეგი 2020 წლის არჩევნების მშვიდ, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებით დადგება — ფიქრობენ ისინი.

საბა გუჯაბიძე.

აღმოსავლეთის სარდალი ავღანეთში

I ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონის მიერ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მიმდინარეობისა და შესრულებული ამოცანების ადგილზე გაცნობის მიზნით ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე აღმოსავლეთის სარდალი, პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე სამუშაო ვიზიტით ჩავიდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ვლადიმერ ნათენაძემ სარდალს საინფორმაციო ბრიფინგი ჩაუტარა და ქვედანაყოფის ყოველდღიური საქმიანობის, ასევე არსებული უსაფრთხოების გარემოს შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

ბაგრამის საავიაციო ბაზაზე პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე მე-13 ბატალიონის პირად შემადგენლობასაც გაესაუბრა და „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ღირსეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა. პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე აღმოსავლეთის სარდლის რანგში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში პირველად იმყოფებოდა. აღმოსავლეთის სარდლად დანიშვნამდე I ქვეითი ბრიგადა უშუალოდ მის დაქვემდებარებაში იყო. I ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესასრულებლად ავღანეთში ივლისში გაემგზავრა და აშშ-ის სარდლობის დაქვემდებარებაში ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების დაცვაზეა პასუხისმგებელი.

მი-24 ტიპის მოიერიშე შვეულმფრენები კაპიტალურად გარემონტდება

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული თავდაცვის ძალების ავიაციის პარკის განახლების პროექტი წარმატებით მიმდინარეობს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, წელს პირველად, ქართველი სპეციალისტების მიერ სრულად აღდგება და გარემონტდება თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი საბრძოლო შვეულმფრენები, რომლებიც შერეული საავიაციო ესკადრილიის მარნეულის საავიაციო რგოლის ბაზიდან თბილისის საავიაციო ქარხანაში უკვე განთავსდა. კაპიტალური რემონტი 5 ერთეულ მი-24 ტიპის მოიერიშე შვეულმფრენს ჩაუტარდება.



ჯანსაღი მიწა – ჯანსაღი ჰაერი!..

გიორგი კვესიტაძის წიგნი – „თანამედროვე ეკოლოგია: გარემოს მდგომარეობა, დისბალანსის გამომწვევი მიზეზები და რემედიაციური ტექნოლოგიები“



გამომცემლობა „მეცნიერებამ“ კარგი საჩუქარი მოგვიმზადა – გამოიცა გიორგი კვესიტაძის ნაშრომი - მონოგრაფია: „თანამედროვე ეკოლოგია: გარემოს მდგომარეობა, დისბალანსის გამომწვევი მიზეზები და რემედიაციური ტექნოლოგიები“. სქელტანიანი ნაშრომი, 260 გვერდზე, ოთხ თავში გვაცნობს: არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას (თავი 1), ეკოლოგიურ ტექნოლოგიებს (თავი 2), მათ ანალიზს (თავი 3) და ბიოლოგიურ აქტივობაზე აგებულ ეკოლოგიურ ტექნოლოგიებს (თავი 4).

ავტორმა შესავალში საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა, რომ ნაშრომის საფუძველია ის კვლევები, რომლებიც დაწყებულ იქნა გასული საუკუნის 70-იან წლებში. იმ წლებში, როცა ბედნიერება გვქონდა, მოგვესმინა აკადემიკოს სერგი დურმიშიძის და აკადემიის წევრ-კორესპორენტ დევი უგრეხელიძის გამოსვლები და მწვავე დისკუსიები იმხანად არსებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი შემოქმედებითი კოლექტივის AVAEKS-ის ჯგუფთან, რომელშიც ჩვენც შევდიოდით. მას შემდეგ ბევრმა „წყალმა ჩაიარა“ – ჩვენს წინაშეა ახალი, დასრულებული რემედიაციური თეორია, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა და დიდი მონაპოვარი ეკოლოგიურ ტექნოლოგიებში! ეს სიახლე მთელ წიგნს გასდევს თან – ძალზე ცნობილი მოვლენები დანახულია ახლებურად –ალბად ჩვენ – ეკოლოგებს მნიშვნელოვნად გვაკლდა ბიოქიმიური „ხედვა“!

მივყვეთ ნაშრომს, რომელიც სულ ახალ და ახალ „აღმოჩენებს“ გვპირდება. პირველ თავში („არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა“), ძირითადი პროცესების ჩამოთვლა – აღწერისას, თითქოს არ იყო მოსალოდნელი მოვლენის სხვაგვარად დანახვა და შეფასება. ეკოლოგიური დისბალანსის გამომწვევი მიზეზების ჩამოთვლისას (ურბანიზაცია, ნავთობი, აზოტის ოქსიდები, სათბობის წვის პროცესი, მძიმე მრეწველობა, ტრანსპორტის გამონაბოლქვი, მეტალურგიული ქარხნები, ნარჩენები, რადიაციული ეკოლოგია და რადიოაქტიურობის მონიტორინგი, ქიმიური იარაღი, სოფლის მეურნეობა – მეცხოველეობა და მემცენარეობა) ამ თავის მეორე და მესამე პარაგრაფებში უკვე ვხვდებით ორიგინალურ შეფასებებს; (1.2. „ბუნებრივი და ანტროპოგენური ეკოლოგიური პრობლემები“: ატმოსფერული ჰაერი, ნიადაგი, წყალი, სასმელი და სამრეწველო წყალი; 1.3. „საქართველოს ეკოლოგია“: „ჯანსაღი მიწა – ჯანსაღი ერი“, „დაცული ტერიტორიების ფართობი აღემატება სახნავი მიწის ფართობს“, „რაც შეეხება ბაქტერიებს“ და ასე შემდეგ).

ნაშრომის მეორე თავში („ეკოლოგიური ტექნოლოგიები“) ჩანს ავტორის მსოფლიოში აღიარებული კვალიფიკაცია, რომელსაც საქართველოში კონკურენტი არ მოეპოვება. აქ განხილული ეკოლოგიური ტექნოლოგიებიდან (ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური) „დაბინძურებული გრუნტების დამარხვა“ „თერმული დამუშავება“ და სხვები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ცალკეული ბუნებრივი არეების გასუფთავების ტენოლოგიები, ვინაიდან აქ ავტორს მოყვანილი აქვს ქიმიური, ბიოლოგიური და რემედიაციური ტექნოლოგიების სიახლეები. ეს თემატიკა იმდენად საინტერესოდ და ტევადად არის დაწერილი, რომ ავტორი ამ ტექნოლოგიების ანალიზს მესამე თავშიც აგრძელებს.

მონოგრაფიის მესამე თავი („ეკოლოგიური ტექნოლოგიების ანალიზი“) ავლენს ამ ტექნოლოგიების მასშტაბსა და პოტენციალს. ამ თავში დეტალურად განხილულია სხვადასხვა სახის ეკოლოგიური ტექნოლოგიების თავისებურებები; უდაოდ აღსანიშნავია „მწვანე ქიმიის“ იდეის დამაარსებლების პოლ ანასტასის და ჯონ უორნერის ცნობილი 12 პრინციპი, რაც ქართულენოვან ლიტერატურაში არ შეგვხვედრია. თითქმის მთლიანად ორიგინალურია ამ თავის პარაგრაფი – 3.2. („ბიოლოგიური ტექნოლოგიების საფუძვლები“); აქ განხილულია რემედიაციის ურთულესი პროცესები, დასაბუთებულია, რომ „ბიოეკოლოგიის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენენ მცენარეები და მიკროორგანიზმები“. ეს დებულება შემდგომ განხილულია მე-4 თავში („მცენარეებსა და მიკროორგანიზმებზე დაფუძნებული ინოვაციური ეკოლოგიური ტექნოლოგიები“), სადაც წარმოდგენილია ინოვაციური ხასიათის ტექნოლოგიები. დადებითადაა გადაწყვეტილი დილემა: „მცენარე და მიკროორგანიზმი - რამდენად შესაძლებელია ამ ორი ფუნქციურად და ფიზიოლოგიურად განსხვავებული ორგანიზმის მოქცევა ერთი ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში?“. 2000-ზე მეტი შტამი სოკოებისა, ამდენივე გვარის ბაქტერიებისა, აქტინომიცეტებისა გამოცდილია უამრავ ნივთიერებათა დაშლაზე. აქ გაკეთებულია მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ უცხო ნაერთის გარდაქმნისას ნიადაგში, მცენარეებთან შედარებით მიკროორგანიზმები უფრო „მარჯვობენ“.

მონოგრაფიაში კიდევ ბევრი საინტერესო და ახალი ცნობებია ავტორის თაოსნობით შექმნილ მიკროორგანიზმების კოლექციის მოვლა-შენახვა-კულტივირებაზე. უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ „წარმოდგენილი ეკოლოგიური ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მცენარეებისა და მიკროორგანიზმების ერთობლივ გამოყენებას, ინოვაციურია და ანალოგი არ გააჩნია“!

გიორგი კვესიტაძის ნაშრომი მნიშვნელოვნად ამდიდრებს ქართულენოვანი ეკოლოგიური ლიტერატურის ბიოქიმიურ „მდგენელს“. იგი ბრწყინვალე ნიმუშია კლასიკური სახის იმ მონოგრაფიებისა, რომლებიც ავტორის მრავალწლიანი ექსპერიმენტალური კვლევების შედეგია. ათეული წლების წინ, მეოცე საუკუნის ბოლოს, როცა ჩვენ მიმოვიხილავდით ქართულ ეკოლოგიურ ლიტერატურას, გულისტკივილით აღვნიშნავდით, რომ ქართულენოვანი ეკოლოგიური ლიტერატურა ძირითადად „აღწერითი ხასიათისაა“; ჩვენ მწვავე ნაკლებობას განვიცდიდით ამდაგვარ მონოგრაფიებზე. ამჟამად ეს ხარვეზი ივსება; გიორგი კვესიტაძის მონოგრაფია ამის ყველაზე ძლიერი და მკაფიო მაგალითია. მინდა მივულოცო ამ მონოგრაფიის გამოსვლა ქართულენოვან მკითხველს; იმედი მაქვს, მომავალში ახალგაზრდა მკითხველი ამ მონოგრაფიის წაკითხვის ზემოქმედებით ქართველ ბიოქიმიკოსთა სამყაროს კარს შეაღებს და მეცნიერული კვლევის საგულისყურო გზას დაადგება.

მარატ ციცქიშვილი,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

პირველი აღსაზრდელები ახალ ბაღში

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, სოფელ ძველ ხიბულაში ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. გუშინ ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო და პირველი აღსაზრდელები მიიღო, – ამის შესახებ ინფორმაციას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ბაღის შენობა სრულად აღჭურვილია და ადაპტირებულია აღსაზრდელებისთვის, ეზოში მოეწყო სათამაშო სივრცე. 60 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაღი ხობის მუნიციპალიტეტს ფონდმა „ქართუმ“ მიმდინარე წლის ივნისში გადასცა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ორი ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო **პროცესი განახლდა. გუშინ ოჭანესა და ჯგალში ორი ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი საზეიმოდ გახსნეს წალენჯიხა-ჩხოროწყუს მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგა გულორდავამ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ და სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორმა ნატო კვარაცხელიამ.**

წალენჯიხის მერიის ინფორმაციით, სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად საბავშვო ბაღებში დაცულია ყველა რეკომენდაცია, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გასცა. საბავშვო ბაღებში მაქსიმალურადაა დაცული ყველა რეკომენდაცია, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა.

2020 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა. საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება.

ევროსაბჭო საქართველოში ახალ პროექტს იწყებს

ევროპის საბჭომ საქართველოში ახალი, 600 000-ევროიანი პროექტი „ადამიანის უფლებებისა და ჯანდაცვის ხელშეწყობის გაძლიერება პენიტენციურ სისტემაში“ დაიწყო. ინფორმაციას საქართველოში ევროსაბჭოს ოფისი ავრცელებს.

პროექტი მიზნად ისახავს, დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებაში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას. პროექტი ხელს შეუწყობს პატიმრებისთვის ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების, მკურნალობისა და რეაბილიტაციის მისაწვდომობის გაუმჯობესებას და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის კონტროლის ხარისხიანი შიდა მექანიზმის შექმნას.

სესხი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით, საქართველოში, დაახლოებით, 2 მილიარდ 494 მილიონი ლარის ღირებულების იაფი ფული გაიცა.

ყველაზე მეტი შეღავათიანი სესხი კახეთის რეგიონშია გაცემული. კერძოდ, ასეთი იაფი ფულთ დაფინანსდა საგარეჯოში მეფრინველეობის ფერმის, გურჯაანის რაიონის სოფელ ყიტაანში კი ხილის გადამამუშავებელი ხაზის მშენებლობის პროექტები. სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილ საწარმოებში საქმდებიან და სხვებსაც ასაქმებენ. რა შედეგი მოაქვს ბიზნესის ხელშეწყობის სწორ პოლიტიკას, „იმედის კვირის“ რეპორტაჟში ნახავთ.

პანდემიამ ჩვენს შემოსავალზე იმოქმედა

კორონავირუსის პანდემიის გამო, შემოსავალი დაახლოებით 100 000 ადამიანმა დაკარგა. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ ფრაქცია "ევროპული საქართველოს" სხდომაზე განაცხადა, სადაც 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარადგინა.

მისივე თქმით, მომავალ წელს დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება და მინიმუმ 20 000 ადამიანი შემოსავალს აღიდგენს

„წლევანდელ წელს ეკონომიკური შემცირება, რა თქმა უნდა, დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე იმოქმედებს – ვგულისხმობ ბიზნეს სექტორში, დაქირავებით დასაქმებულ ადამიანებს. ეკონომიკური ვარდნა ყოველთვის მოქმედებს. კომპანიების მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით და ის, რაც დახმარების ფარგლებში ვიცით, დაახლოებით 100 ათას ადამიანამდეა, ვინც შემოსავალი დაკარგა“, – განაცხადა კაკაურიძემ.

გურამ გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა



ძველი დღიურიდან: გუშინ პატარძეულში ანაზდეულად წამოაგონდა ტერენტი გრანელი. ნამდვილ პოეტად იყო დაბადებულიო, და წაიდუდუნა: **„გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“**. თითქოს ბევრი არაფერიო, მაგრამ საოცარი სურათიაო, თვალწინ გიდგება ის საღამოც და ის ჩიტიცო... პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დავკრძალეთ, 36 წლის კაცი იყო, ცოტანი ვიყავით. გალაკტიონი მდუღარებდა, მთელი წვერი სველი ჰქონდა, ცრემლიანი. მგონი, სიტყვაც თქვა. ჯერ კიდევ ოცდაოთხში ლექსი მიმიძღვნაო, ეამაყებოდა, **გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზიაო. ჩემში თურმე მიწა ანათებს, ტერენტიში კი ზეცის სხივი ყოფილაო, ჩემში ლურჯ ფერსა ხედავდა, თავის თავში კი უფსკრულსაო...** მერე თითო-თითო მუჭა მიწა მივაყარეთ და წამოვედით. იქვე, ახლოისად, ავლაბარში, ერთ ძველ დუქანში შევუხვიეთ და პურზე ღვინო დავაწვეთეთ, ჭიქა წავუქციეთო... გოგლა თავისი დროის უტყუარი მატეანეა.

გოგლა დასწრებია იეთიმ გურჯის დაკრძალვასაც, უკვე 1940 წელს, ი. გრიშაშვილმა შემატყობინა და წამიყვანაო. საწყალი იეთიმი მთელი ცხოვრება სამართალს ეძებდაო და აკი შეიძახა კიდეც ერთ-ერთ თავის ლექსშიო, **სამართალი სად ვეძებო, რუსთაველი მკვდარიაო...** დაკრძალვაზე იყო აგრეთვე ანდრო თევზაძეო, რომელმაც მერე, 1958 წელს, ი. გრიშაშვილის შემდეგ გამოსცა იეთიმ გურჯის ლექსების კრებულიო. გრიშაშვილი ძალიან პატრონობდაო. დაუპატიჟია კიდეც და ფულიც ბევრჯერ მიუციაო. იეთიმი არსებითად თავის **„თბილისურ ბოჰემაში“ „აღმოაჩინაო“**. ფიროსმანზე ჩაფიქრებულ პოემას თუ თავი დავადგი, იქ იეთიმსაც თავისი ადგილი ექნებაო...

ანდროს **„პოეტურ სუნთქვაზე აგებულ-აშენებულ სიტყვას“** უქებდა. ისეთი ორი სტრიქონი მოკალმა, დავიწყება არ უწერიაო და ხმამაღლა იტყოდა:

ჯუღაშვილი დედამ შობა
და სტალინი საუკუნემ...

ჩემებურიაო, დააყოლებდა.

ეს დიდი, იშვიათი კრებული, რომელშიც ლექსებისა და „ნატვრის ხის“ გარდა შესულია გოგლას პირადი მიმოწერა და სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვები, ლიტერატურის მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა, მეტმა თუ არა, არავისზე ნაკლებმა პოეტმა და მოღვაწემ, პირამთქმელმა იზა ორჯონიკიძემ მაჩუქა 2000 წელს, მუზეუმის მიერ გამოცემული.

გიორგი ლეონიძე მთელი სიცოცხლე ქართული ცხოვრების ავანსცენაზე იდგა, – წერს იზა, – ჩრდილი არც ჰყვარებია, მაგრამ, ასე მგონია, რომ ყოველთვის აკლდა ჩავლილი სიჭაბუკის სუნთქვა და დაუვიწყარი თავისუფლება...

1966 წლის 9 აგვისტოს შემდეგ 33 წელი გავიდა. დიდი პოეტისა და გამორჩეული საზოგადო მოღვაწის ნაამაგარი ქართველ საზოგადოებას სრულად არ გაუაზრებია. როცა მისი შემოქმედების, სამეცნიერო შრომებისა და მოღვაწეობის ხასიათზე ვფიქრობ, გიორგი ლეონიძის არსებობის განმსაზღვრელად მხოლოდ ერთადერთ სიტყვას ამოვარჩევ უკიდეგანო ქართული ლექსიკონიდან. ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, სიყვარულია (დღესდღეობით ძალიან გაცვეთილი და პოპულისტებისგან შინაარსწართმეულიც კი!). სიყვარულზე, მით უფრო, გიორგი ლეონიძის ყოვლისმომცველ სიყვარულზე მისი დანატოვარი ღაღადებს – გულდასმით წაიკითხეთ ეს წიგნი, გაიხსენეთ მისი დაუღალავი სამეცნიერო კვლევა-ძიებანი, სიძველეთა კვალში ჩადგომა და მოპოვებული საგანძურის მუზეუმებში თავმოყრა, გაიხსენეთ ფიროსმანისა თუ სხვათა ღირსეულთა წარმოსაჩენად, ქართული კულტურის წიაღში დასამკვიდრებლად გაწეული შრომა და ცხადად დაინახავთ – გიორგი ლეონიძის ჭეშმარიტად მამულიშვილურ და დრო-უამისაგან შეუმუსვრელ საქმეებს; ერთი ამ საქმეთაგანი დღეს მისი უკვდავი სახელის მატარებელი ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმიც გახლავთ. ჩვენს განძთსაცავს დღესაც მისი ნათელი ადგას და არა მგონია, რომ ეს შარავანდედი ოდესმე გაფერმკრთალდესო.

ბედნიერი ვარ, რომ ვაგრძელებ გიორგი ლეონიძის დაწყებულ საქმეს და მჯერა, შთამომავლობა არც მუზეუმის დღევანდელ მუშაკთა თავდადებას აუვლის გვერდსო.

წინამდებარე კრებულს „ოლე“ დავარქვითო, – ამბობს იზა, – და არა მგონია განათლებულ საზოგადოებას ამ ზუსტი და მშვენიერი მეტაფორის ამოკითხვა გაუჭირდესო.

ჩემს წარმოსახვაში ძმებდახვრეტილი და თავისუფლებაწართმეული გიორგი ლეონიძე ტრაგიკული ბედისწერის შემოქმედად არსებობსო.

დღეს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით შექმნილი ამ წიგნით მთელს საქართველოს ულოცავს მამულის სამსახურში ბოლომდე დახარჯული კაცის, დიდი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის საუკუნოვან იუბილესო...

დეკემბრის ქარი შემოდგომის ჭრელაჭრულებს ატრიალებს ჰაერის უხილავ მორევში... მუზეუმის პატარა ბაღში ყველა ხე და ბუჩქი შიშველია... მაგრამ მალე გაზაფხული მოვა, მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის მიერ შექმნილი გიორგი ლეონიძის ახლახან აღმართული ძეგლის ფერხთით ულამაზესი ვარდ-ყვავილები გაიშლებიან და მაისში, გიორგობას, როგორც თავად უყვარდა, ისეთ დღეობას გადავუხდით აქ, მის საყვარელ სახლშიო.

იოსებ სტალინი და გიორგი ლეონიძე, ორი ერთმანეთისგან განუყრელი მეოცესაუკუნელი, ღვთივხელდასხმული არსება იყო, რომელთაც მეცხრამეტეში უდგათ ფესვი... რა თქმა უნდა, გოგლა არამც და არამც არ ამართლებდა 30-იანი წლების შავ ამბებს, განსაკუთრებით ინტელექტუალთა თავსდატეხილს, მაგრამ იმასაც ხმამაღლა ამბობდა, რომ იმხანად დრო იხელთეს ეგრეთ წოდებულმა კვერულანტებმა და დაბეზღების კორიანტელი დაატრიალესო. საკავშირო უშიშროების კომიტეტში ყველაზე მეტი საჩივარი თურმე საქართველოდან შედიოდა ნიაღვრადო, მწერლებიც კი უსინდისოდ ასმენდნენ ერთმანეთსო. თუმცა მარტო ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა, ამერიკაში ეზრა პაუნდი 12 წელიწადი ჰყავდათო ამერიკელებს ფსიქიატრიულში გამოკეტილი ფაშიზმისა და ნაციზმის მხარდაჭერისა გამოო. ამავე მიზეზით ევროპაში ციხის კედლებს ლესავდნენო გაბრიელ დიანუნციო, მარტინ ჰაიდეგერი და კნუტ ჰამსუნიო... მერე ასეთ სახალისო ამბავთაც მოაყოლებდა ხოლმე: იყო იმჟამად ერთი ფილოსოფოსი ქალი ოლგა ვოიტინსკაია. ქმრის დაჭერის შემდეგ ენა ჩავარდნოდა (ფილოსოფიაში ამას უარყოფის უარყოფითად მოიხსენიებენო). ერთ საღამოს სტალინს დაურეკავს მოსაკითხად. არ ვიცი, შიშისგან თუ სიხარულისგან, იქნებ მეშველაო, ოლგას ქაჯანასავით ენა ამოუდგამსო... მერე ახლა ლომონოსოვს გადასწვდებოდა. მოსკოვში ჟურნალ „ნევას“ რედაქტორის ნატალია განცევას დაურეკავს და იმასაც გადაუფიქრებია თავის მოკვლაო...

თბილისში მოკავშირე რესპუბლიკათა ლიტერატურის დღეები იმართებოდა. თითქმის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ მწერლები. სტუმრებს დახვდნენ დევი სტურუა, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, კარლო კალაძე, ბესო ჟღენტი, იყო ხვევნა-კოცნა, ერთმანეთის მოკითხვა. ბოლოს გოგლამ იკითხა, რაღაც ბელორუსიდან არავინ არა ჩანსო. როგორ არაო, შეეპასუხა კარლო, აბა, ეგ ვინ არის, შენ გვერდითო, ბესოზე მიუთითა, ბელორუსი არ არისო? გოგლა უცებ ვერ მიხვდა, აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. ისედაც წამოჭარხლებული ალბინოსი ბესო კიდევ უფრო წამოჭარხლდა, კარლო, გეყოფა, სულ ხო არ უნდა იმაიმუნოო, გაუბრაზდა ბესო კარლოს. გოგლას მოეწონა კარლოს ხუმრობა და გულიანად გადაიხარხარა. ტვარდოვსკიზედ დაიხედა, რა მოხდაო, იკითხა. გოგლამ გადაუენა, რაც მოხდა, და სტუმარსაც მოეწონა ბესოს ბელორუსობა... სხვათა შორის, მეორე დღეს „კომუნისტში“ დაიწერა ჩემი ინფორმაცია და ალექსანდრე ტვარდოვსკი მოვიხსენიე, სხვა პოემებთან ერთად, როგორც „ჭიანჭველების ქვეყნის“ ავტორი. გოგლას გაზეთი დილითვე ენახა და დამირეკა, ბიჭო, სტურუამ დამირეკა, იაღლიაში მოგსვლიაო, ტვარდოვსკის პოემა „მურავიის ქვეყანაა“ და არა ჭიანჭველებისაო. გოგლას მადლობა ვუთხარი და მეორე დღის ნომერში დაზუსტება გამოვაქვეყნე, მაგრამ, ცხადია, ამან ვერ მიშველა, ის შეცდომა დღემდე თავს არ მანებებს.

ბარემ აქვე ვიტყვი ერთსაც. მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე უკვე გრიგოლი იყო, აბაშიძე, რომელმაც ირაკლი აბაშიძე შეცვალა. როგორც ამბობენ, სწორედ იქ, აეროპორტში უკითხავს ტიხონოვს, – **ა გდე ირაკლიო,** და კარლო კალაძეს ეგრევე ლექსად „უჯახებია“:

„როცა ქვეყანას კაცი აკლია,
გრიშაც ის არის, რაც ირაკლიაო...“

აბა, ტიხონოვი ქართულს რას გაიგებდა, და როგორც რომ **„ლომონოსოვის რუსულის“** მცოდნესთვის, გოგლასთვის უთხოვნიათ სტუმრის **„საქმის კურსში ჩაყენება“**...

„წყნარი დონის“ ავტორი გულწრფელი პატივისცემით იყო განწყობილი გიორგი ლეონიძის მიმართ. საქართველოში სტუმრობისას ირაკლი აბაშიძესთან ერთად სწორედ გიორგი ლეონიძე იყო იმისი მასპინძელი. სტუმრობის ერთ დღესაც ირაკლი აბაშიძემ და გოგლამ ვარძიისკენ გაასეირნეს შოლოხოვი, მგონი, გიორგი ჯიბლაძე და დავით მჭედლიშვილიც იყვნენ. „ზის“-ში უკან ისხდნენ გოგლა და სტუმარი. გოგლა მარცხნივ, სტუმარი მარჯვნივ. ვარძიას რომ მივუახლოვდით, სტუმრის მხარეს უცებ გაიღო კარი, და გოგლა წამისუმალ რომ არ ჩაგღაუჭებოდა, ნამდვილად უბედურება მოხდებოდა... შოლოხოვმა სულ ფეხით მოიარა მთელი ვარძია და ბოლოს იქვე, სახელდახელო ტრაპეზზე თქვა, **რაღა პეტრას ქალაქი და რაღა ვარძიაო,** რაც მასპინძელთათვის სასიამოვნო მოსასმენი იყო.

მერე, მეორე დღეს, ფასანაურს აწვიეს სტუმარი. ფასანაურის რესტორნის ეზოში წითლად ღვიოდა ვარდების პატარა ბაღი. შოლოხოვმა ჯაყვა ამოიღო, ჯიბის დანა, ყველაზე დიდი და ლამაზი, ბდღვრიალა ვარდი შეაჭრა ბუჩქს და თქვა, **ეს ვარდი ჩემგან საქართველოს პირველ პოეტს ეკუთვნისო, და გოგლას გულის ჯიბეში ჩაუცურა...** შოლოხოვი, საერთოდ, კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას. თავის საყვარელ ლექსად მიაჩნდა ბარათაშვილის პასტერნაკისეული „ცისა ფერს“ („Синий цвет“), განსაკუთრებით გამოჰყოფდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, ნამდვილად ჰომეროსიაო, ამბობდა... თუ აქეთ წამოვალთ, უფრო ჩვენებურ პუშკინს და შოტლანდიელ ბერნს მაგონებსო. ვინც ამერიკელ თოროს იცნობს, ვაჟა თავისი ფილოსოფიით, სწორედაც თოროს ებიძაშვილებაო...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115-117, 118-119, 126-130

ერთხელაც, გოგლამ ითავა, და სტუმარი კახეთში წავიყვანეთ, პატარძეულის გავლით, გოგლამ ჯერ თავისი სახლ-კარი დაათვალიერებინა, სახელდახელო ტაბლაც გაშალა, მერე მდინარე ინწობისკენ გავწიეთ, ალაზნის შენაკადისკენ. როგორც თადარიგიან მასპინძელს, გოგლას წინასწარ დაერეკა და ინწობის ნაპირზე სუფრა გაეშლევინებინა. შოლოხოვს ძალიან ესიამოვნა მდინარის პირას ნადიმი. მართალია, დონისხელა მდინარე ვერ დაგახვედრეთო, გოგლამ, მაგრამ, თქვენ თუ ეს პატარა მდინარე არ დაგამახსოვრდათ, სამაგიეროდ, ამ პატარა მდინარე ინწობას ემახსოვრებით დიდი წყნარი დონის მქუხარე შვილიო. **ოჰ, რა მოქარგული ლაპარაკი იციო,** შოლოხოვმა, ბეჭზე ხელი დაჰკრა გოგლას...

ნადიმი შებინდებამდე გაგრძელდა. კახური ძელგია, ოღონდ ფრანგულ და ესპანურ ღვინოებზე ნაზად შემპარავიაო. გორში სტუმრობაზე აქ ბევრს აღარაფერს ვიტყვი, რადგან ამაზე არაერთხელ დავწერე უკვე, თუმცა ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვა. გაქანებული „ხრუშჩოვიზმის ხანაა". სტალინის თითქმის ხსენებაც კი აკრძალულია. ის კი არა, ვიგინდარა ნიკიტას რომ გაუგია, შოლოხოვი საქართველოში მიდისო, ჯერ მუავანაძისთვის დაურეკავს, რა სტუმარ-მასპინძლობა აგიტყდაო, მერე თვითონ შოლოხოვისთვის უთქვამს, არ წახვიდეო.

როგორც შოლოხოვი ამბობდა, **ნიკიტა ნამდვილად გავაწბილე როცა ვუთხარი, სტალინისთვის მაქვს პირობა მიცემული, რომ ერთხელ მაინც ვეწვეოდი საქართველოსო.** მართლაც, ჩამოვიდა თუ არა, მეორე დღესვე გორში ჩავიდა, სტალინის სახლი და მუზეუმიც დაათვალიერა. ჩანაწერიც დატოვა. ხომ წარმოგიდგენიათ, რას განიცდიდა გიორგი ლეონიძე, როცა მსოფლიოში სახელდიდი რუსი მწერალი (ჯერ ნობელი არ ჰქონდა მიღებული) სტალინს გენიალურ პიროვნებად იხსენიებდა, წრფელი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდა.

ერთხელ სტალინმა მოსკოვში თურმე იმ დროს დაურეკა, შოლოხოვი, როგორც რომ არცთუ იშვიათად, კარგა გვარიანად ნასვამი ყოფილა, თანაც რქაწითელი მქონდაო დალეული. ხელად ცივი შხაპი გადავივლე და წავედი კრემლშიო, პოსკრებიშევი გაფრთხილებული იყო და პირდაპირ შევედი, მივემშვიდობე ბელადსო. ახლო არ მიგსულვარ, შემატყობს-მეთქი, მაგრამ თვითონ მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მკითხა, რას შვრება „ბატეხილი ყამირის" მეორე წიგნიო, თან გამიღიმა, მაგრძნობინა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი, მაგრამ ვითომ არაფერიო, ისე დაიჭირა თავიო. დაღლილი ჩანხართ, გეტყობათ, ბევრს მუშაობთო, ახლა წადით, დაისვენეთ, გამოიძინეთ და სხვა დროს შევხვდეთო. ისე, „ყამირის" მეორე წიგნს რაც მალე დაამთავრებთ, კარგი იქნებაო. ცოტა კი დავიბენი, ოღონდ მალევე მოვედი გონს და წამოვედი. ისიც წამოვიდა, კარამდე მიმაცილაო.

საქართველოში ცოლთან ერთად ამერიკიდან იყო ჩამოსული ემიგრანტი გიორგი პაპაშვილი, რომელიც წარმოშობით დუშელი იყო და 30-იან წლებში შტატებში გადავიდა. იქაური მწერალი ქალი შეირთო და, რაკი ენას დაეუფლა, თვითონაც იმ დონეზე გამწერალდა, რომ მალე რამდენიმე წიგნიც გამოსცა. ერთი თავისი ქართულ-ამერიკული თავგადასავალი („ყველაფერი **შეიძლება მოხდეს**"), მეორე მთლიანად ქართული ზღაპრები, ამერიკულ ყაიდაზე გადაინგლისურებული... გოგლამ ჯერ ლიტერატურის ინსტიტუტში მოუწყო ცოლ-ქმარს შეხვედრა, მერე ახლა დუშეთშიც ახლდა თან... იმხანად თბილისს სტუმრობდა, ისიც მწერალ მეუღლესთან ერთად, თვალსაჩინო ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი სარტრი. გოგლამ სასტუმრო ინტურისტში ერთმანეთს შეახვედრა სარტრი და პაპაშვილი, რომელთაც თავ-თავიანთი წიგნები გაცვალეს. სარტრმა თავისი ცნობილი რომანი **„სიტყვები"** უსახსოვრა პაპაშვილს, ის-ის იყო კოტე ჯავრიშვილმა მიართვა თავისი ქართული თარგმანის ახალთახალი გამოცემა. პაპაშვილმა კი ქართული ზღაპრების ამერიკული გამოცემა მიუძღვნა ინგლისურივე წარწერით... არ იგულმავიწყოთ, თქვენი ნაცნობობა-მეგობრობის ნათლია მე ვარო, დაიბუხუნა გოგლამ. როგორც მერე ამბად მოვიდა, გოგლას ნათლიობაზე სარტრსაც დაეწერა და პაპაშვილსაც. გოგლა ხუმრობდა ხოლმე, **ნათლულეები მთელ მსოფლიოში მყვანანო, მერე ახლა როგორი ნათლულეგიო!**

(გაგრძელება იძნება)

◎ ხელოვანი დროში

ამერიკელი ქართველი შემოქმედი უშანგი ქუმელაშვილი: გრძელი გზა სამშობლოსკენ



ფერმწერისა და მოქანდაკის უშანგი ქუმელაშვილის სახელი ქართველმა საზოგადოებამ არცთუ დიდი ხნის წინათ გაიცნო — მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა. მკითხველს იქნებ ახსოვდეს კიდეც, რომ შარშან ოქტომბერში ჩვენს გაზეთში 2017 წელს უკან დაბრუნებული ქართველი შემოქმედის შესახებ ჟურნალისტი ნინო კობახიძის სტატია „სჯობს სახელისა მოხვეჭა" (საქართველო გულში) დაიბეჭდა.

ბედნიერებაა და იღბალიც, დაიბადო საქართველოში, და მერე სხვაგან იღვაწო, მაგრამ, დამეთანხმებით, ხელოვანს ეპატიება, ძალები მოსინჯოს სამშობლოს გარეთაც. მან გაბედა, მოსინჯა და მერე როგორ! ჯერ რუსეთში მოღვაწეობს მოსკოვის ვნუკოვოს კულტურის სასახლეში, შემდეგ გადადის კალუგაში, სადაც ქმნის კონსტანტინე ციოლკოვსკის ქანდაკებას, მერე 80-იან წლებში ამერიკაში მიდის. მისი ნამუშევრები გამოიფინება და იყიდება, როგორც ამერიკის სხვადასხვა ქალაქში, ისე დასავლეთ ევროპასა და ჩინეთში. ხოლო მის მიერ შესრულებული მარკ ტვენის, ომარ ხაიამის, ნიკოლო პაგანინის გორელიეფები ადგილს იკავებენ კალიფორნიის „ეინჯელ კემპის" მუზეუმში. წლების განმავლობაში იგი ამერიკის მოქანდაკეთა საზოგადოების და მოქანდაკეთა საერთაშორისო ცენტრის ჟიურის წევრია, ასევე ათეული წლები ჰოლივუდის სახელოსნოში მოღვაწეობს.

მისი შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია, თანაც თანმიმდევრული: ძველი სამყაროს სიბრძნის მქადაგებელი წმინდანებით დაწყებული ცათა სასუფევლის ძიებით დამთავრებული. იგი იყენებს ჰიბრიდულ სტილს, რომლის ფესვებიც კლასიციზმში, იმპრესიონიზმში, სიურეალიზმსა და აბსტრაქციონიზმში უნდა ვეძიოთ.

ბატონი უშანგი ქუმელაშვილის საქართველოში დაბრუნებისშემდგომ მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე ვესაუბრები მის მეგობარს, ცნობილ მომღერალს **ენრიკო ჯანელიძეს:**

შევეცადე, ბატონი უშანგი ჩამება ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, დახმარება გავუწიე ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიაში მის გაწევრებაში, საქართველოს მხატვართა კავშირში მიღებაში. გავაცანი დიდებული ქართველი შემოქმედები, მათ შორის გიგა ბათიაშვილი, ვახტანგ დავითაია, გივი თოიძე, რეზო ადამია, გოგი გეგეჭკორი, გურამ ცერცვაძე, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს მის შემოქმედებას, თუმცა კი გაკვირვება გამოხატეს ასეთ რთულ პერიოდში მისი ჩამოსვლის გამო.

შემოქმედს, რომელსაც ეგონა, რომ სამშობლოში მალე მოიპოვებდა აღიარებას, იმედები არ გაუმართლდა. მისი ნამუშევრები ქართველმა საზოგადოებამ მხოლოდ რამდენიმე გამოფენაზე იხილა — ასზე მეტი შექმნილი ნამუშევრიდან, სამწუხაროდ, ვერც ერთის გაყიდვა ვერ შეძლო...

თუმცა შემოქმედი სულიერად მაინც არ გატყდა და მეც ვურჩიე მას, რომ ქართველი საზოგადოებისთვის თავის უკეთ გასაცნობად, რამდენიმე სახელოვანი მამულიშვილის სკულტურული პორტრეტი შეექმნა. ასეც მოხდა. წლეულს 1 აგვისტოს მცხეთაში ცნობილ მკურნალს ბიჭიკო ასკურავას დაბადების დღეზე გადავეცით მისივე ქანდაკება საჩუქრად. 8 ოქტომბერს კი ხალხის საყვარელ მსახიობს თენგიზ არჩვაძეს გადავეცით ასეთივე ძღვენი ნიშნად მისი 88-ე დაბადების დღისა, რომელიც სულ მალე კოტე მარჯანიშვილის თეატრში დაიდგმება. სექტემბერში უწმინდესთან და უნეტარესთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან გვქონდა შეხვედრა საპატრიარქოში. გადავეცით ამერიკაში დამზადებული სურათი — ნახატი უშანგი ქუმელაშვილის მიერ შექმნილი. პატრიარქმა დალოცა მხატვარი და ურჩია ბატონ უშანგის, კვლავ გაეგრძელებინა ბავშვებთან მუშაობაც და თავისი შემოქმედებაც.

იგი კვლავაც განაგძრობს პედაგოგიურ მოღვაწეობას გორში, დიდსა თუ პატარას ხატვას ასწავლის, თავადაც მხატვრულ ტილოებზე მუშაობს.

ოთარ ტურაბელიძე

„თეატრალური იმერეთი 2020"

ქუთაისში იმერეთის თეატრალური ფესტივალი გაიხსნა. ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო საზეიმო გახსნა ღია სივრცეში, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის „მწვანე სცენაზე" გაიმართა.

„თეატრალური იმერეთი 2020" თავისი მასშტაბით მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა არა მხოლოდ იმერეთის რეგიონისთვის, არამედ ზოგადად, ქართული თეატრისთვის. ის ემსახურება ახალი სახეების გამოვლენას, თეატრის პოპულარიზაციას, თეატრალური დასებისთვის დამატებითი მოტივაციის შექმნას და პროფესიული ხარისხის გაზრდას. ეს ფესტივალი კარგად წარმოაჩენს, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მდიდარი თეატრალური მხარე იმერეთია. ქართული თეატრის მნიშვნელოვანი და უდიდესი არტისტული ნაკადი სწორედ ჩვენი მხარიდან არის. იმერეთი გამოირჩევა იმითაც, რომ ამ რეგიონში ყველაზე მეტი პროფესიული და მოყვარული თეატრალური დასი ფუნქციონირებს და ეს ფესტივალი მათთვის კიდევ ერთი დამატებითი შესაძლებლობაა, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედება. უკვე არაერთი წელია, ტარდება ეს ფესტივალი და მან უკვე მიიღო საერთაშორისო სტატუსი. მინდა, მადლობა გადავუხადო ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელ ლევან როხვაძეს, რომლის დამსახურებითაც ფესტივალი 2000 წელს დაარსდა და 11 წლის შემდეგ აღდგა. მადლობა მას იმ ღვაწლისთვის, რაც გასწია მთელი ამ წლების განმავლობაში თეატრალური კულტურის პოპულარიზაციისათვის", — განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძემ.

ფესტივალი 21 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. სპექტაკლები 18:30 საათზე დაიწყება. დასწრება თავისუფალია.

„ისტორიის კონკურსი"

სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში „ისტორიის კონკურსის" გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. პირველი ადგილი 15 წლის დავით მიქაუტაძის ნამუშევარმა დაიმსახურა.

„მიგრაცია — ცხოვრება ახალი ფურცლიდან" ეს იყო წლევანდელი საერთაშორისო კონკურსის თემა, რომელშიც 15-დან 18 წლამდე ასაკის 70-ზე მეტი კონკურსანტი მთელი საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდა.

მათ ახლობელი წინაპრების მიგრაციასთან დაკავშირებული ისტორიები გამოიკვლიეს. წარსულის აღმოსაჩენად კონკურსანტებმა ძველი ფოტოები, წერილები და არქივი დაიხმარეს.

გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები. პირველი ათეულის ნამუშევარი კი წიგნის სახით გამოიცემა.

კონკურსი წელს მეორედ გაიმართა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

რუსეთის „მეგობრული“ მავნებლობა:

გადარჩებიან თუ არა აფხაზები იზოლაციის, გლობალური პრობლემებისა და მუდმივი სტრესის პირობებში

კრიზისი, კორონავირუსი, ნარკოტიკები. აფხაზეთისთვის 2020 წელი ერთგვარ გამოცდად იქცა. თითქოს თავად სამყარო ცდილობს, გაარკვიოს, გადარჩებიან თუ არა აფხაზები იზოლაციის, გლობალური პრობლემებისა და მუდმივი სტრესის პირობებში.

კორონავირუსული ინფექციით დაავადებულთა რაოდენობის ყოველდღიური ზრდა მეტყველებს დიდი ეპიდემიის დაწყებაზე, რომელიც აფხაზეთის პირობებში სრულიად შესაძლებელია, ფატალურად იქცეს. უსუსტესი მედიცინა უკანასკნელი ძალებით იბრძვის და უკვე თითქმის დანებდა, ისევე, როგორც ბიუჯეტი, რომელიც აქამდე განწირულად ცდილობდა მრავალრიცხოვანი „ხვრელების“ ამოვსებას და ბოლოს ხარჯები მინიმუმამდე დაიყვანა. ცხოვრება ძვირდება, ბიზნესს შემოსავალი არ მოაქვს, დახმარება არსაიდანაა მოსალოდნელი. აი, ასე შეიძლება, მოკლედ აღიწეროს სადღეისოდ აფხაზეთის ყოფა.

ვერაგმა დაავადებამ, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, არა მარტო შეაღწია აფხაზეთში, არამედ თავისუფლად ნავარდობს კიდეც, დახვდა რა ამისთვის ნოყიერი ნიადაგი. მკაცრი კარანტინი არ შემოუღიათ, სუსტი შეზღუდვები კი მხოლოდ გრანდიოზული ეპიდემიის დაწყების დროისთვის დაწესდა. ამასთან, ქვეყანაში სეირნობს ათასობით ტურისტი, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა არავის შეუმოწმებია და ამას არც აპირებს. ამას ემატება ხალხმრავალი ქორწილები, სკოლების მუშაობა, მიუხედავად ინფიცირებული მოსწავლეებისა და პედაგოგების ყოველდღიურად მზარდი რაოდენობისა. მედიკოსები პრაქტიკულად ყოველდღიურად აღრიცხავენ პაციენტების გარდაცვალებას. ამასთან, დაავადება მძიმედ გადააქვთ უკვე არა მარტო ხანდაზმულებს, არამედ ჯანმრთელ ახალგაზრდებსაც. 6 ოქტომბერს კი, აფხაზეთში პირველად დაფიქსირდა ინფიცირებულთა რეკორდული მაჩვენებელი — 103 მოქალაქე. პანდემიის პერიოდში უკვე გარდაცვლილია 21 ადამიანი. ამ დროისთვის გამოვლენილ ინფიცირებულთა საერთო რაოდენობა 2170-ს აღწევს.

ამ დღეებში ვესაუბრე ახალგაზრდების ჯგუფს. მათი აზრით, ხელისუფლების უმოქმედობას სრულიად გარკვეული აზრი აქვს. **„ისეთი განცდა მაქვს, რომ ჩვენი განადგურება სურთ. კორონავირუსი შეუერთდა ჩვენს არაკეთილმოსურნეებს და ახლა ისღა დაგვრჩენია, ვაკვირდებოდეთ, როდის გააკეთებს ის თავის შავ საქმეს“,** — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე. მისივე აზრით, რუსეთი გამიზნულად ბლოკავს მედიკამენტების შესყიდვას, მათ აფხაზეთში შეტანას, რითაც ადგილობრივი მედიკოსების ძალისხმევა ნულზე დაჰყავს. **„რუსეთს აფხაზეთი დიდად არც ადრე უყვარდა, მაგრამ რაც ახლა ხდება — მთელი ეს პრესინგი — ჩვენი ტერიტორიების მშვიდობიანი გზით ხელში ჩაგდების მცდელობად აღიქმება“,** — თვლის მეორე. ახალგაზრდა ქალის თქმით, რუსი მოღვაწეების მთელი ბოლოდროინდელი საუბრები აფხაზეთის მიერთებაზე, ჰაერიდან არ მოსულა. **„ეს მათი ვერაგი გეგმაა, რომელსაც ჩვენი უფროსები დიდი ხნის წინ უნდა მიმხვდარიყვნენ. ახლა კი გამოდის, რომ ჩვენი ხელისუფლება ვეღარაფერს იზამს და მოსახლეობისთვის მიმდინარე მოვლენების შესახებ სიმართლის დამალვით მხოლოდ ხელს უწყობს რუსეთის გეგმას. ჩვენებს შესაძლოა, ეს არც უნდოდეთ, მაგრამ ხალხისგან ჩაკეტვით მხოლოდ ეხმარებიან მტერს ჩვენს დაჯაბნაში“,** — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე.

სტრატეგიული პარტნიორის, მეზობლისა და მეგობრის — რუსეთის მიმართ სიტყვა „მტერმა“ რესპუბლიკაში შედარებით ცოტა ხნის წინ გაიჟღერა. მსგავსი მოსაზრებები მას შემდეგ გაჩნდა, რაც გაირკვა სიმართლე იმის შესახებ, რატომ არ ჰყოფნის აფხაზეთს პერიოდულად ტესტები, მედიკამენტები და სამედიცინო აღჭურვილობა. როდესაც ამ სიახლეს დაემატა იმის აღძმა, რომ რუსეთს არ სურს, თავის კოვიდ-ცენტრებში აფხაზეთის მაცხოვრებლებს უფასოდ უმკურნალოს, საზოგადოებაში დაიწყო საუბრები მსგავსი მოძმედების გამიზნულობაზე. ახლა კი, როცა დაავადებულთა სტატისტიკა რესპუბლიკაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ყველა სხვა გასაჭირს შესაძლოა, ფსოუზე საზღვრის ჩაკეტვაც დაემატოს. თანაც ცალმხრივად. და რუსეთმა კოლეგა აფხაზი მედიკოსები ამის შესახებ უკვე გააფრთხილა.

ეპიდემიის დასაწყისში აფხაზურ საზოგადოებას ყოველდღიურად აიმედებდნენ, რომ რუსეთიდან დახმარება მოვიდოდა, თავად ინფიცირებულებს კი საჭიროების შემთხვევაში კრასნოდარის მხარის სამედიცინო დაწესებულებებში უმკურნალებდნენ. ხანგრძლივად და ლამაზად საუბრობდნენ რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ მარშრუტიზაციაზე, რომელიც, აფხაზეთის მცხოვრებლების საჭიროებებზე და მეტ კომფორტზე იყო აგებული. რეალურად კი, მძიმე პაციენტებს მალულად უშვებდნენ საქართველოში. პირველ ხანებში ხალხმა ამის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა და რუსეთის ხელისუფლების სჯეროდა. თავის საქმეს აკეთებდა მედიაც, რომელიც პერიოდულად აანონსებდა რუსი და აფხაზი მედიკოსების შეხვედრებს „ყველაზე მაღალ დონეზე“. მაგრამ როდესაც ავადმყოფების საქართველოში გაყვანის ფაქტები მომრავლდა, მოსახლეობამ დაიწყო უხერხული კითხვების დასმა, რომლებზეც პასუხები ამ დრომდე არ მიუღია.

ახლა უკვე პაციენტები ენგურს გაღმა კლინიკებში სრულიად ლეგალურად გაჰყავთ, ჯანდაცვის სამინისტრო ყველა საჭირო საბუთს გასცემს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ პირველად შეძლო, დაეშოშმინებინა ენგურის საზღვარზე მდგომი რუსეთის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც პრობლემებს ქმნიდნენ. ახლა ისინი დიდად უკვე აღარაფერში ერევიან და უკმაყოფილო სახეებით ასრულებენ პასიური დამკვირვებლის როლს. საქართველოში ავადმყოფების დაუბრკოლებლად გაყვანის შესაძლებლობა შედარებით ცოტა ხნის წინ გაჩნდა, დაახლოებით სექტემბრის შუა რიცხვებიდან. მანამდე, ყველა საჭირო საბუთის ფლობის შემთხვევაშიც კი რუსი სამხედროები ენგურს გაღმა გადასვლის ყველა შესაძლებლობას აღკვეთდნენ. იყო შემთხვევები, როცა მძიმე ავადმყოფს, რომლის ტრანსპორტირება რეანიმობილით ხორციელდებოდა, უკან აბრუნებდნენ. პანდემიის პერიოდისთვის ჩაკეტილი საზღვარი აქ აბსოლუტურად არაფერ შუაშია. რუსი სამხედროები ცალმხრივ რეჟიმში წყვეტდნენ, ვის შეეძლო და ვის არა აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება, ადგილობრივი ხელისუფლება კი მსგავს თვითნებობაზე გავლენას რთულად თუ ახდენდა.

მოარული ჭორების საწინააღმდეგოდ, საქართველოში ჩვენს პაციენტებს სამედიცინო დახმარება სრულიად უფასოდ ეწევათ. კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მისაღებად ენგურს გაღმა გამსვლელთა ნაკადი ყოველდღიურად იზრდება. ნაწილს ზუგდიდში ტოვებენ, ყველაზე მძიმე შემთხვევებში კი პაციენტები თბილისში გადაჰყავთ.

ამ დროს გუდაუთის კოვიდ-ცენტრი შესაძლებლობების ზღვარზე ცდილობს, ინფიცირებულთა ნაკადს გაუმკლავდეს. თავისუფალი ადგილები თითქმის აღარ რჩება. პალატებში ერთად აწვენენ ბავშვებსა და უფროსებს, მათ შორის — მედიკოსებსაც, რომლებიც სხვების მკურნალობისას დაინფიცირდნენ. აფხაზეთის ხელისუფლებამ კი, პირველად ამ ხნის განმავლობაში, მიმართა მოსახლეობას გაფრთხილებით ვითარების გაუარესების თაობაზე. არადა, აფხაზი მედიკოსები ამ პროგნოზს ბევრად ადრე — ეპიდემიის საწყის ეტაპზე იძლეოდნენ. მაგრამ მაშინ მათ „მშიშრები“ უწოდეს და რეალური ვითარების ხელოვნურად გაბუქების მცდელობაში დაადანაშაულეს, მოსახლეობას კი უბრძანეს, „არაპატრიოტი“ მედიკოსების პროგნოზებისთვის არ დაეჯერებინა და „უახლოეს ხანებში“ რუსეთიდან დახმარების მიღების იმედი ჰქონოდა.

მწვავე აუცილებლობა უკვე დადგა, დახმარება კი როგორც აქამდე არ იყო, ისე არაა ახლაც. ამიტომაცაა ხალხი იძულებული, ახლობლების სიცოცხლე საქართველოში გადაარჩინოს. და თუ ადრე მათ, ვინც ქართველი მედიკოსების დახმარებით ისარგებლა, სამშობლოს მოღალატეებად რაცხავდნენ, ახლა ყველაზე დაუოკებელი მოწინააღმდეგეებიც კი მიჩუმდნენ, რადგან გააცნობიერეს, რომ აფხაზეთის მაცხოვრებლებს მომაკვდინებელი სენისგან სხვა ვერავინ და ვერაფერი გადაარჩენთ.

სტრატეგიული პარტნიორი კი, დახმარებისა და მხარდაჭერის ნაცვლად, აფხაზეთში არა მედიკამენტებსა და სადეზინფექციო საშუალებებს აგზავნის, არამედ ულტიმატუმებს, რომლებიც არა მარტო ხალხს, არამედ აფხაზურ სახელმწიფოსაც დაღუპავს.

„ვინც ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისთვის საზიანო პირობებს გვთავაზობს, აფხაზეთის მეგობარია? — არა, ის აფხაზეთის მტერია. თუ მაიძულებ, შევასრულო პირობები, რომელიც ჩემს ერს კლავს, იძულებული ვარ, ჩემი ხალხის მტრად განგიხილო“, — ამბობს გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პროფესორი, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მოქმედი „ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან ინტეგრაციისა და „აბრეშუმის გზის“ სტრატეგიის“ საექსპერტო ჯგუფის წევრი ანატოლი ოტირბა.

და რას ამბობენ ამ ფონზე ჯანდაცვის სამინისტრო და ზოგადად აფხაზეთის ხელისუფლება? — დუმან, რადგან სხვა გზა არ რჩებათ. ვერ უმხელენ მსოფლიოს სიმართლეს იმის შესახებ, რომ აფხაზეთისთვის ყველაზე რთულ დროს რუსეთმა მას არათუ დახმარების ხელი არ გაუწოდა, პირიქით, ყველაფერს აკეთებს, რომ დაღუპოს სახელმწიფო, რომლის დამოუკიდებლობა ოდესღაც პირველმა თავად აღიარა.

ᲐᲡᲢᲐᲜᲓᲐ ᲑᲒᲐᲜᲑᲐ

რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გახანგრძლივდა

სანქციები 2021 წლის 16 ოქტომბრამდე გაგრძელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც კავშირში არიან ქიმიური იარაღის გამოყენებასა და გავრცელებში. მათ შორის არის ოთხი პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ სკრიპალების მოწამვლის საქმეში სოლსბერიში. შემზღუდავი ზომები სულ ცხრა ადამიანის წინააღმდეგ იმოქმედებს. სანქცირებულთა სიაში შეყვანილი კიდევ ხუთი პირი სირიის ხელისუფლებას უკავშირდება. სანქციების ქვეშ მოყვა სირიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც, ევროკავშირის განცხადებით, ქიმიური იარაღის დამზადებით არის დაკავებული.

სანქციები ფიზიკურ პირებს ევროკავშირში შესვლას უკრძალავს. ამკრძალავი ღონისძიებები ასევე ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირების აქტივების გაყინვას.

ზელენსკი პუტინს ენდობა

ზელენსკის ვლადიმერ პუტინთან შეთანხმების სჯერა. მან განაცხადა, რომ სწორედ ამის წყალობით იქნება შესაძლებელი ოკუპირებული დონბასისა და ყირიმის დაბრუნება.

„მე მჯერა ამის, თორემ უკრაინის პრეზიდენტობაზე არ წავიდოდი. ეს ძალიან რთულია და აქ მთელი მსოფლიოს დახმარება გვჭირდება, ეს მართალია, მაგრამ მე არ ვკარგავ ამ რწმენას“, — აღნიშნა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტი ამბობს, რომ რეიტინგებს და ძალაუფლებას უპირატესობას არ ანიჭებს და წარუმატებლობის შემთხვევაში, მზადაა, თანამდებობა დატოვოს. **„თუ მე ვერ დავამთავრე ომი, მაშინ უნდა მოვიდეს სხვა ადამიანი, რომელსაც ჩვენს ქვეყნებს შორის ამ ტრაგიკული ისტორიის დასრულება შეუძლია“,** — განაცხადა ვლადიმირ ზელენსკიმ.

ედიტ პიაფი – მომღერალი „ბელურა“

პარიზის „ოლიმპიის“ საკონცერტო დარბაზის პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ სცენაზე პატარა ტანის, ოდნავ წელში მოხრილი, ფერმკრთალი, დაძარღვული, სევდისთვალება, მორცხვი, კაფანდარა ქალი მოჩანს. ნამდვილად ვერ წარმოიდგენ, რომ ეს პიროვნება აგერ-აგერ ხმას ამოიღებს და ყველას გააოცებს. პირველი შთაბეჭდილება ამის საშუალებას ნამდვილად არ იძლევა, მაგრამ აი, მისი დაბალი ჟღერადობის, გულიდან ამოხეთქილი, ხავერდოვანი ხმა უკვე მთელ დარბაზს ეფინება, ყველას ხიბლავს, აჯადოებს, სულსა და გულს უფორიაქებს. ეს ედიტ პიაფია, ფრანგი მსახიობი და მომღერალი, ესტრადის სწორუპოვარი ვარსკვლავი.

ედიტის ცხოვრება უამრავ წინააღმდეგობებთან და სირთულეებთანაა დაკავშირებული. მისი ბავშვობის წლები პარიზის ქუჩების დუხჭირ ყოფასთან ასოცირდება. ბიოგრაფების მიერ მოწოდებული იმფორმაციების მიხედვით მომღერლის არა ერთი მოვლენა და ფაქტი ბურუსითაა მოცული.

„დავიბადე 1915 წლის 19 დეკემბერს, დილის 5 საათზე, პარიზში. დედას მუცელი ასტკივდა თუ არა, ქუჩაში გამოვიდა და იქ ელოდებოდა მამაჩემს, რომელიც სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად იყო გაქცეული. მაგრამ მე დაცდა არ ვინებე და სანამ მანქანა მოვიდოდა, მანამდე მოვევლინე ამ ქვეყანას. ასე რომ, თამამად შეიძლია განვაცხადო, პირდაპირ ქუჩაში დავიბადე-მეთქი“, – წერს პიაფი თავის მოგონებებში. ქუჩაზე პატრულირების დროს ორ პოლიციელს ქალის კვნესა შემოესმა, რა დროსაც უმალ მასთან გაჩნდნენ. არ დაბნეულან. ქალს დიდი დახმარება აღმოუჩინეს. ახალშობილი დედამ პოლიციელის ლაბადაში შეახვია და მაშინვე ბელგიაში გერმანელების მიერ დახვრეტილი ინგლისელი გმირი სანიტარი ქალის ედიტ კაველის სახელი დაარქვა.

ჯერ კიდევ ორი წლისაც არ იყო, როდესაც დედამისმა, უიღბლო მსახიობმა ანიტა მაიარმა, ედიტი მიატოვა. მამამ, ქუჩის აკრობატმა ლუი გასიონიმ, სოფელში ბებიასთან გააგზავნა, სადაც იგი 7 წლამდე იზრდებოდა. ედიტი სასწავლებლად სკოლაში შედის, თუმცა თანაკლასელების მშობლები აღშფოთებით შეხვდნენ იმ ფაქტს, რომ გოგონა საროსკიპოში ცხოვრობდა და ძალიან მალე მისი სწავლაც დასრულდა. მამამ ედიტი პარიზში წაიყვანა, სადაც მათ ერთად დაიწყეს გამოსვლა, ლუი ქუჩაში სხვადასხვა სირთულის აკრობატულ ნახტომებს ასრულებდა, ედიტი კი მღეროდა. ქალაქების და სოფლების მოედნებზე ერთად გამოდიოდნენ. სულ მალე თავისუფლების მოყვარულმა ედიტმა, მამა მიატოვა და მოხეტიალე დასი ჩამოაყალიბა. მაშინ ის 17 წლისა იყო. ამ მხრივ ედიტი მამის კვალს დაადგა. კარგა ხანს ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა. ხან ერთ ყაზარმაში ამოყოფდა თავს, ხან – მეორეში, ბევრი გაჭირვება გადაიტანა. ყველაფერი ეს გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ის კაბარე „ჟოან-დე-პენში“ არ აღმოჩნდა.

კაბარეში მან გაიცნო ვინმე ლუი დიუპონი, რომელსაც მალევე გაჰყვა ცოლად. ერთი წლის შემდეგ კი ქალიშვილი მარსელი შეეძინა. თუმცა ლუის არ მოსწონდა, რომ მეუღლე ძალიან დიდ დროს უთმობდა სამსახურს და მოსთხოვა ედიტს კაბარე დაეტოვებინა. ედიტმა ამაზე უარი განუცხადა და წყვილი ამის გამო ერთმანეთს დაშორდნენ. თავდაპირველად მარსელი დედასთან იზრდებოდა, მაგრამ ერთხელაც სახლში დაბრუნებულმა ედიტმა იგი ვერ იპოვა. ლუი დიუპონმა ქალიშვილი თავისთან წაიყვანა, ეგონა რა, რომ ამით დედამისს შეურიგდებოდა. იმ დროს მთელ ევროპაში ესპანური გრიპის ეპიდემია მძვინვარებდა, რომელსაც პატარა მარსელიც ვერ ასცდა. გოგონა საავადმყოფოში აღმოჩნდა. ედიტი, რომელმაც შვილი პალატაში მოინახულა, ასევე ამ სენით დაავადდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ ავადმყოფობას თითქმის ვერ კურნავდნენ. თუმცა, უფლის წყალობით ედიტი გამოჯანმრთელდა, მარსელი კი გარდაიცვალა. მას შემდეგ, ედიტს სხვა შვილი აღარ მისცემია. სასოწარკვეთილ ედიტს სიმღერის გაგონებაც კი აღარ უნდოდა. რა ექნა? არსებობისათვის რაღაც შემოსავალი იყო საჭირო. თავს ძალა დაატანა და ისევ ქუჩაში გავიდა. მორის ვერნე წერდა: **„პატარა გოგონა სახალხო ზეიმების სევდიანი, მაგრამ ამავე დროს ბრძოლის ჟინით აღტყინებული, დაუდგრომელი ანგელოზია. თვალს შეავლებთ თუ არა, უმალვე იგრძნობთ, რომ იგი სისხლი და ხორცია სოფლისა, მისი პირმშო და განუყოფელი ნაწილი... რომ იცოდეთ, რა ნიჭიერია ეს პატარა ქალი! საცხოვრებელი სახლის დიდი ეზოს შუაში დგას მოხეტიალე მომღერალი და მისი წკრიალა, ომახიანი ხმა ზარივით ეფინება არემარეს...“**

1935 წელს ოცი წლის ედიტი ქუჩაში ლუი ლუპლემ შეამჩნია. ლუპლე ელისის მინდვრებზე მდებარე პრესტიჟული კაბარე „ჟერნისის“ მეპატრონე იყო. მან ედიტს თავის პროგრამაში გამოსვლა შესთავაზა, რაზეც დაითანხმა კიდეც. ლუი ლუპლემ ბევრი რამ ასწავლა ახალგაზრდა მომღერალს: სიმღერის ამორჩევა, აკომპანიატორთან რეპეტირება, არტისტის ჩაცმის აუცილებელი ვიზუალური თავისებურებები, მიმიკის და ჟესტიკულაციის მნიშვნელობა. სწორედ ლუპლემ მისცა ედიტს სცენური გვარი – პიაფი, რაც პარიზულ ჟარგონზე „ბელურას“ ნიშნავს. აქედან მოყოლებული მისი ნამდვილი გვარი – გასიონი შეიცვალა და ბოლომდე პიაფი დარჩა. უკვე კაბარე „ჟერნისის“ აფიშებზე მონაწილეთა შორის „გოგონა ბელურას“ სახელი ჩნდება, რამაც თავისთავად დიდი ინტერესი გამოიწვია და ედიტს გარკვეული წარმატება მოუტანა.

1936 წლის 17 თებერვალს ედიტ პიაფი მონაწილეობს „მედრანის“ ცირკში გამართულ დიდ კონცერტში, სადაც იგი იმ დროის ისეთ დიდი მომღერლებთან ერთად გამოდის, როგორებიც იყვნენ: მორის შევალიე, მისტანგეტი, მარი დიუბუა და სხვები, მაგრამ სულ მალე ედიტის კარიერის წარმატებული წინსვლა ტრაგედიამ შეაჩერა. თავში ნასროლი ტყვიისგან ლუი ლუპლე გარდაიცვალა. ვინაიდან, გარდაცვლილის ანდერძში ედიტ პიაფისადმი განკუთვნილი თანხა იყო მითითებული, პიაფი ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა. ფრანგულ გაზეთებში ფართოდ გაშუქდა ეს ისტორია, ზოგჯერ დამახინჯებითაც, რამაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ამან ედიტის მიმართ გარკვეული მტრული განწყობა შექმნა, რაც მის კარიერას დასასრულს უქადდა. მომღერალს რეპუტაციის აღსადგენად გარკვეული დრო დასჭირდა.

ცნობილია, რომ თითქმის ყველა გამოჩენილი პიროვნების საქმიანობა შემთხვევითმა სიტუაციამ განსაზღვრა. ასე მოხდა ედიტ პიაფის დროსაც. მან გაიცნო პოეტი და კომპოზიტორი რეიმონ ასო, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა მომღერლის მომავალი. მას უიდესი წვლილი მიუძღვის „დიდი პიაფის“ აღმოჩენაში. მან ედიტს ასწავლა არაოდენ პროფესიული ქცევები, არამედ ძირფესვიანად აუხსნა ეტიკეტისა და ჩაცმის თავისებურებები. აიღო რა ედიტის ინდივიდუალურობა საწყისად, რეიმონ ასომ შექმნა „პიაფის სტილი“. მან დაწერა სიმღერები, რომლებიც მხოლოდ ედიტის ხმას მიესადაგებოდა: „პარიზი – ხმელთაშუა ზღვის სანაპირო“, „ის ცხოვრობდა პიგალის ქუჩაზე“, „ჩემი ლეგიონერი“; „სიცოცხლე ჩემი, ვარდისფერი შუქით ინთება“; „ნამცეცა ბელურასავით“; „ქუჩის მეორე მხარეს“; „არ ვიცი, რა მომელის ბოლოს“ და სხვა. რეიმონმა მიაღწია იმასაც, რომ ედიტმა შეძლო პარიზის სახელგანთქმული მიუზიკ-ჰოლის „ABC“-ის სცენაზე გამოსვლა. ეს უკვე დიდ აღიარებას და წარმატებას ნიშნავდა. ასევე რეიმონის თხოვნით მომღერალმა ფსევდონიმი „გოგონა პიაფი“ შეცვალა „ედიტ პიაფით“, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა. „ABC“-ში გამოსვლის შემდეგ პრესა წერდა: – გუშინ „ABC“-ის სცენაზე დიდი მომღერალი დაიბადა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ედიტი რეიმონ ასოს დაშორდა. მოგვიანებით მომღერალმა გაიცნო რეჟისორი ჟან კოკტო, რომელმაც შესთავაზა პიესაში „ლამაზი და გულგრილი მამაკაცი“ მონაწილეობა. დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. 1940 წელს კინორეჟისორმა ჟორჟ ლაკომბმა გადაწყვიტა პიესის ეკრანიზაცია და 1941 წელს ფილმში „მონმარტრი მდინარე სენაზე“ ედიტმა მთავარი როლი შეასრულა. ამის გარდა მომღერალმა მთავარი როლები ითამაშა ფილმებში – „უსახელო ვარსკვლავი“ და „მომავალი მიჯნურები“.

მეტად საინტერესოა, პიაფის დამოკიდებულება ახალგაზრდა ფრანგი კომპოზიტორების მიმართ. არსებითად მისგან გაიცნო ფართო საზოგადოებამ მათი სიმღერები. ასეთთა შორისაა: „შენგნით ჭკუაზე ვარ შეშლილი“, „სად არის ჩემი ნაცნობი“, „მოძველებული ფირფიტა“, „კლოუნს – ვაშა“, „ქორწილი“, „გაზაფხულიც მოვა“, „ცა ჩამოინგრა“, „სიყვარულის ჰიმნი“, „დღესასწაული“, „მაწანწალა“, „დეპეშა“, „აკორდეონისტი“, „პატარა“, „რა დაგემართა ჯონ“, „გულის ამბავი“ და უამრავი სხვა.

ოკუპაციის პერიოდში პიაფი ხშირად გამოდიოდა ტყვეთა ბანაკებში გერმანიის ტერიტორიაზე, რითაც თავისი შესანიშნავი ხმით და სიმღერით თანამემამულე სამხედრო ტყვეებს მძიმე მდგომარეობას უმსუბუქებდა და უადვილებდა. მომღერალს უდიდესი წარმატება მოუტანა ომის შემდგომმა პერიოდმა. მას აღფრთოვანებით უსმენდნენ ფრანგი გლეხიც და ინტელიგენციის წარმომადგენელიც, მუშებიც და ინგლისის დედოფალიც.. ამასობაში, ედიტმა თავისი თავი სრულად იპოვა, ამავე დროს, უდიდესი დახმარება აღმოუჩინა დამწყებ მომღერლებს – ივ მონტანს, ედი კონსტანტენს, ანსამბლ „კომპანიონ დე ლა შანსონს“, შარლ აზნაურს და მრავალ სხვას. 1954 წელს მან ჟან მარესთან ერთად მთავარი როლი შეასრულა ისტორიულ ფილმში „მე თუ მომითხრობენ ვერსალის შესახებ“...

მიუხედავად მსმენელის სიყვარულისა, მომღერლის ცხოვრება სულ უფრო და უფრო მარტოობისკენ მიისწრაფვოდა. იგი წერდა: „მსმენელი გულში გიკრავს, თავის გულს გიხსნის. შენ ივსები მისი სიყვარულით, ის კი შენით. შემდეგ ჩამქრალ დარბაზში გესმის მიმავალი ნაბიჯების ხმა. ეს ჯერ კიდევ შენი ნაბიჯებია, ჯერ კიდევ კარგად გრძნობ თავს. ამის შემდეგ გადიხარ ქუჩაში და ხვდები, რომ მარტო ხარ“.

1958 წელს ედიტმა გამოსვლები დაიწყო პარიზის „ოლიმპიის“ საკონცერტო დარბაზში. წარმატება ფანტასტიკური იყო. გამოსვლების შემდეგ მან თერთმეტთვიანი ტურნე მოაწყო აშშ-ში. ამერიკაში „ვერსალის“ საკონცერტო დარბაზში გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტი ნერინი წერდა: „... სცენაზე გამოჩნდება თუ არა ერთი ციდა, აბრეშუმის შავ კაბაში გამოწყობილი ედიტი, დარბაზში აღტაცებული შეძახილები გაისმის. სიმღერის გამეორებას მოითხოვენ. გახელებული გოგონები მაგიდებს აწყდებიან, ტაშის ცემით იკლებენ იქაურობას. პიაფს სცენიდან არ უშვებენ, იმ იმედით, იქნებ ერთხელ კიდევ გვიმღეროსო“.

მას ფუფუნება და ძვირფასეულობა სულ არ აინტერესებდა. თითქმის ქუჩაში გაზრდილს, უბრალოება უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო თანხებს იხვეჭდა, საკუთარი თავისთვის ძალზე ცოტას იმეტებდა. მთელი მისი შემოსავალი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა მის გარშემო მყოფთა შორის.

ფიზიკურმა და ემოციურმა დატვირთვებმა მომღერლის ჯანმრთელობა შეარყია. 1961 წელს მას უკურნებელი სენის – კიბოს დიაგნოზი დაუდგინეს. 1962 წლის 25 სექტემბერს ეიფელის კოშკიდან მღეროდა სიმღერებს – „არა არაფერს ვნანობ“, „ბრბო“, „მილორდი“, „შენ არ გესმის“, „სიყვარულის უფლება“...

მისი ბოლო სასცენო გამოსვლა 1962 წლის 18 მარტს შედგა. დარბაზმა ხუთწუთიანი ოვაცია მოუწყო თავის რჩეულს. სწორედ ამ დროს ის ცუდად შეიქმნა და სცენაზე წაიქცა, რის შემდეგაც ფართო საზოგადოების წინაშე აღარ გამოჩენილა.

1963 წლის 11 ოქტომბერს ედიტ პიაფი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ნეშტი პარიზის პერ ლა შეზის სასაფლაომდე 40 ათასზე მეტმა ადამიანმა მიაცილა, ბევრი ცრემლსაც ვერ იკავებდა. ყვავილების გროვამ მთლიანად დაფარა ედიტის ბოლო განსასვენებელი.

წელს, 19 დეკემბერს, 105 წელი სრულდება შანსონეს დედოფლის დაბადებიდან. მისი გულიდან ამოფრქვეული ხმა დღესაც უდიდეს სიამოვნებას გვრის მსმენელს.

გელა ქოქიაშვილი,
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი,
ქართული კულტურის ამაგდარი,
მეცნიერების ასოცირებული დოქტორი,
სიღნაღის საპატიო მოქალაქე
(ტელ. 551 49 19 97).

ერთა ლიგა

„სწავლა მოსწავლეთა“...

სპორტში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ხშირად, როცა შეხვედრებს შორის სულ რამდენიმედღიანი პაუზაა, მწვრთნელები როტაციას მიმართავენ და ძირითად ბირთვს დასვენების საშუალებას აძლევენ.

ასეთი ნაბიჯის გადადგმით კიდევ ერთხელ ხდება შესაძლებელი უახლოესი რეზერვის „საქმეში ხილვა“, ასე რომ, არაფერი საგანგაშო ერთგვარ ექსპერიმენტში არაა – ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ აკაკუნებს ძირითადი შემადგენლობის კარზე და ვის რამდენად საფუძვლიანი ამბიცია გააჩნია წამყვან პოზიციაზე დასაწინაურებლად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკური გახლდათ საქართველოს ეროვნული ნაკრების სლოვაკი თავკაცის ვლადიმირ ვაისის გადაწყვეტილება, რომელმაც ბელარუსთან როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად მომქანცველი ბრძოლის შემდეგ მხოლოდ კანკავა და ყაზაიშვილი დატვირთა, დანარჩენებს კი ტრავმების მოშუშებისა და, უბრალოდ, სულის მოთქმის ფუფუნება მისცა.

სომხეთი – საქართველო 2:2

(პირველი ტაიმი 1:0)

გოლები: ბაირამიანი, მხითარიანი (პენალტით); კაჭარავა, ოქრიაშვილი.

პოლონეთის ქალაქ ტიხში ჩვენს სამეზობლოში განახლებული საომარი მოქმედებების გამო გადატანილმა ერთა ლიგის მეორე გათამაშების „C“ დივიზიონის ჯგუფური რაუნდის მატჩმა თვალნათელი გახადა განსხვავება ლეგიონერთა და „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგის წარმომადგენელთა ოსტატობასა და მზადყოფნის დონეს შორის.

საილუსტრაციოდ თამაშის დებიუტშივე მაკარიძის კარში გატანილი გოლიც გამოდგება, როცა სისწრაფეკრეფილი ბარსეგიანი ფლანგიდან საჯარიმოში „პრავადნიკივით“ შეაცილა ჯიღაურმა, იქ ბურთმა ტურისტივით გაინავარდა კობახიძის სამეურვეო ზონაში, ყველაფერი კი ნავალოვსკის საცირკო პირუეტითა და ანგარიშის გახსნით დაგვირგვინდა (სხვათა შორის, ამ ეპიზოდში შენგელიას ექიმები მკურნალობდნენ და მინდორზე ათნი ვიყავით).

დასახელებულ მომენტზე იმიტომ შეგვაჩერეთ თქვენი ყურადღება, რომ სამივე „ჯვაროსანი“ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერის „ბათუმის“ წევრია.

მართალია, შესვენების შემდეგ საკუთარი უპირატესობა ლოგიკურ დაწინაურებაში ავსახეთ, მაგრამ ბოლო წუთებზე თამაშის სადავეები მეტოქეს დავუთმეთ და კიდევ ერთი, ამჯერად დაუშვილის უნებლიე შეცდომის გამო მეორედ დავისაჯეეთ.

ხვალ სკოპიეში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში მოსახვედრად ჩვენი გუნდის მომავალ მეტოქესთან ჩრდილოეთ მაკედონიასთან გენერალური რეპეტიცია გველის. მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი 22 საათიდან და 45 წუთიდან შემოგვთავაზებს.

ესტონეთი – ჩრდილოეთ მაკედონია 3:3 (ბოლო წუთებამდე სტუმრები 1:3-ს აგებდნენ).

სატურნირო მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ: ჩრდილოეთ მაკედონია, საქართველო – 5-5, სომხეთი – 4, ესტონეთი –1 ქულა.

გიორგი შოთაძე

***მინაწერი:** ჩვენი კოლეგები უკვე მეორე კვირაა თუთიყუშივით იმეორებენ, ევროპის ჩემპიონატზე სიკვდილის ჯგუფს ავცდით (გერმანია, პორტუგალია, საფრანგეთი) და ნიდერლანდებს, უკრაინასა და ავსტრიას შევხვდებითო. რა შეღავათია, არა?!*

ზოგი იმასაც იმედოვნებს, ჩვენი ყოფილი პირველი ლედისადმი პატივისცემის ნიშნად მისი სამშობლოს ქვეშევრდომნი დაგვინდობენ ისევე, როგორც მეგობარი სლავური სახელმწიფოს შვილებიო.

ხალხნო! ჯერ გადავხტეთ და ჰოპ მერე დავიძახოთ, თანაც გვახსოვდეს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა ვიყოთ!

გ. შ.

◎ ოკეანის გადმა

მეფური ნადავლი

ათწლიანი პაუზის შემდეგ ნბა-ს ჩემპიონობა დაიბრუნა „ლოს ანჟელეს ლეიკერზმა“, რომელმაც ფინალური სერია 4:2 მოუგო „მაიამი ჰითს“. კალიფორნიელებმა აღნიშნული ტიტული კობი ბრაიანტისა და მისი 13 წლის ქალიშვილის ჯანას ხსოვნას მიუძღვნეს, რომლებიც ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ.

თითქოს ინტრიგა მეხუთე მატჩმა გააღვიძა, რომელშიც ფლორიდელებმა 111:108 გაიმარჯვეს და ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანეს – 2:3, მაგრამ ეს ერიკ სპოელსტრას გუნდის ბოლო გაბრძოლება აღმოჩნდა. **ყველაზე შედეგიანები:** ჯიმი ბატლერი (40 ქულა, „მაიამი“); ლებრონ ჯეიმსი (35 ქულა, „ლეიკერზი“).

„მეფემ“ გადამწყვეტ შეხვედრაშიც გაიბრწყინა, რომელიც გუშინ გამთენიისას გაიმართა და

მეტოქის უშანსო კაპიტულაციით დასრულდა – 106:93. მან სეზონი მორიგი სამმაგი დუბლით დახურა: 28 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი, რამაც ფანტასტიკურ კარიერაში, თანაც 36 წლის ასაკში, მეოთხე ოქროს ბეჭედი და ასევე მეოთხე MVP-ს წოდება მოუტანა.

საგულისხმოა, რომ თანამედროვეობის უდავოდ გამორჩეულმა სპორტსმენმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონობას, როგორც თავად ოკეანისგაღმელები უწოდებენ, მესამე კლუბში მიაღწია (2012 და 2013 წლებში სწორედ „მაიამში“ და 2016 წელს – „კლივლენდ კავალიერზში“). სხვათა შორის, გუშინ ანალოგიური ჰეთ-თრიკი შეასრულა დენი გრინმაც, რომლის წინა ტრიუმფებიც „სან ანტონიო სფურზსა“ და „ტორონტო რეპტორზს“ უკავშირდება.

რაც შეეხება „ლეიკერზის“ თავკაც ფრანკ ფოგელს, იგი ნბა-ს ისტორიაში მეექვსე მწვრთნელი გახდა, ვინც თავისი მოღვაწეობის პირველივე სეზონში შეძლო შეგირდების ტახტზე აყვანა.

დასაფასებელია მისი თანაშემწის ჯეისონ კიდის წარმატებაც, რომელმაც „დალას მავერიქსის“ მოთამაშეობისას მოპოვებულ ჩემპიონობას უკვე ახალ ამპლუაში დამსახურებული ჯილდო დაუმატა.

დავძენთ, რომ აწ უკვე ნბა-ს ოთხგზის ჩემპიონის ლებრონ ჯეიმსის ახალი სამიზნე ლეგენდარული მეჯიკ ჯონსონი გახლავთ, რომელმაც პოპულარულ კლუბში 5 ტიტული მოიხვეჭა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ როლან გაროსი

მჯოხნის მჯოხნი

რაფაელ ნადალმა მეცამეტედ(!) მოიგო „როლან გაროსი“ და დიდი სლემის საერთო მაჩვენებლით ლეგენდარულ შვეიცარიელს როჯერ ფედერერს დაეწია – 20-20 (უახლოესი მდევარი – ნოვაკ ჯოკოვიჩი: 17).

საამისოდ მსოფლიოს მეორე ჩოგანს საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალში საერთაშორისო რეიტინგის ლიდერი ნოვაკ ჯოკოვიჩი უნდა დაემარცხებინა, რაც გულშემატკივარს მძაფრი ბრძოლისთვის განაწყობდა, მაგრამ პარიზის ფილიპ შატრიეს სახელობის კორტზე გამართულ შეხვედრაში ძალები აშკარად უთანაბრო აღმოჩნდა: გრუნტის ესპანელი მეფე მრისხანე სერბ მეტოქეს სამაგალითოდ გაუსწორდა – 6:0, 6:2, 7:5. მალიორკელს ტურნირში ერთი სეტიც კი არ წაუგია!

აღსანიშნავია, რომ აქამდე ბალკანელი მთელი სეზონის განმავლობაში დაუმარცხებლად თამაშობდა, თუ არ ჩავთვლით „ფლეშინგ მიდოუზე“ მომხდარ კურიოზულ ფაქტს, როცა ერთ-ერთ ეპიზოდში მის მიერ ემოციურად გადაგდებული ბურთი შემთხვევით თავში ხაზის მსაჯს მოხვდა და მაშინ იგი ტურნირის ორგანიზატორებმა გათამაშებიდან მოხსნეს.

რაც შეეხება „როლან გაროსის“ ქალთა ასპარეზობას, მთელი რიგი სენსაციების შემდეგ მისი ტრიუმფატორი პოლონელი თინეიჯერი იგა სვიონტეკი ასევე პარტიის წაუგებლად გახდა.

კობა კობახიძე

◎ პირველი ევროპული

ისტორია ბაქოდან დაიწყო

რა არის სპორტისთვის ხუთი წელიწადი? – დაგებადება კაცს კითხვა. აბსოლუტურად არაფერი – მოისმენ და დაეთანხმები კიდეც მოპასუხეს. არადა, თურმე, არც მთლად მასე ყოფილა საქმე. მაგალითი გნებავთ? ინებეთ.

2015 წელს ბაქომ ღირსეულად უმასპინძლა პირველ ევროპულ თამაშებს.

მაშინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უკვე 2020 წლის შემოდგომაზე ჩვენს სამეზობლოში ახალი ძალით იფეთქებდა ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც უკვე მერამდენედ განახლდა და ისედაც დენთის კასრზე განთავსებულ რეგიონს ფართომასშტაბიან ომში გადაზრდით ემუქრება.

თითქოს გენერალურ რეპეტიციას გადიანო, აზერბაიჯანელთა და სომეხთა ნებისმიერი იმდროინდელი ორთაბრძოლა, უმეტესწილად საჭიდაო ხალიჩაზე, განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩეოდა. საბოლოოდ მასპინძლებმა ფორუმი რუსების შემდეგ გუნდური მეორე(!) ადგილითა და 56 მედლით (21 „ოქრო“, 15 „ვერცხლი“ და 20 „ბრინჯაო“) დაასრულეს, ხოლო მათი დაუძინებელი მტრები ერთადერთ მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ. იგი „კლასიკოსთა“ ტურნირში მოასპარეზე მიგრან არუთინიანის (66 კგ) ანგარიშზეა. სხვათა შორის, ნახევარფინალში მან პრინციპულ ადგილობრივ მეტოქეს – ჰასან ალიევს სძლია.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტური კომპლექსური ღონისძიებები უკვე შორეული 1951 წლიდან იმართება: პანამერიკული თამაშები (ბუენოს აირესი, არგენტინა), აზიური თამაშები (დელი, ინდოეთი), აგრეთვე ოკეანეთის თამაშები (1963 წელი, სუვა, ფიჯი) და აფრიკული თამაშები (1965 წელი, ბრაზავილი, კონგო).

ასე რომ, დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ბოლოსდაბოლოს მომწიფდა „ძველ სამყაროში“ ანალოგიური სპორტული ფესტივალის ორგანიზების იდეა და აზერბაიჯანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შესაბამის ინიციატივას მისი ბაქოში ჩატარების შესახებ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გაერთიანების ირლანდიელი პრეზიდენტის პატრიკ ჰიკის თანხმობით ხორცი შეესხა კიდეც.

კი, მაგრამ რაღა კასპიისპირა სახელმწიფო? – დაინტერესდება გულშემატკივარი.

რატომ და, მოგეხსენებათ, იქ ბოლო წლებში ათეულობით თანამედროვე ტიპის სპორტული კომპლექსი აშენდა და არაერთი დიდი შეჯიბრება მოეწყო, მათ შორის – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, აგრეთვე საფეხბურთო ევროპა ლიგის ფინალური მატჩი.

გარდა ამისა, ბაქო შეუპოვრად ცდილობს ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოპოვებას და ამ უაღრესად რთული მიზნის მისაღწევად ისტორიული პირველი ევროპული თამაშების სამაგალითოდ მიღება მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მართლაც, ჩვენს მეზობელ და მეგობარ ქვეყანას საამისოდ არაფერი დაუზოგავს – არც ადამიანური, არც ფინანსური რესურსები და ამიტომაც გაართვა ყველაფერს თავი უმაღლეს დონეზე.

რაც შეეხება უშუალოდ სპორტულ ბატალიებს, 50 ქვეყნის 6 ათასზე მეტი ათლეტი 3 ათასამდე სტუმარი ოფიციალური პირის თვალწინ ჯილდოებისათვის სპორტის 20 (16 ოლიმპიური და 4 არაოლიმპიური) სახეობაში იბრძოდა, ხოლო ტელერეპორტაჟები არა მარტო ევროპის ქვეყნებში, არამედ აშშ-ში, კანადაში, ლათინურ ამერიკაში, იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, არაბულ სამყაროსა და ავსტრალიაშიც კი გადაიცემოდა. სეოკ-ის პარტნიორის – კომპანია „სოკარის“ ძალისხმევით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი მოვლენათა ეპიცენტრში ქართველ ქომაგებსაც აყენებდა.

სულ ბაქოში საქართველოს დელეგაციას (ხელმძღვანელი – სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**) 104 წევრი წარმოადგენდა, რომლებმაც 13 სახეობის 17 დისციპლინაში 16 მედალი მოიხვეჭეს – 2 „ოქრო“ (**ავთანდილ ჭრიკიშვილი, ადამ ოქრუაშვილი** – ორივე ძიუდო), 6 „ვერცხლი“ და 8 „ბრინჯაო“. როგორც ყოველთვის, ტატამის ოსტატთა გარდა, მათი უმეტესობა ფალავნებსა და სამბისტებს ხვდათ წილად.

აღნიშნული მონაგრით მე-14 შედეგი ვაჩვენეთ, მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლით საბოლოო ცხრილში 21-ე ადგილი დავიკავეთ (ანუ, მართალია რაოდენობით სერბეთს, შვეიცარიას, ბელგიას, რუმინეთს, დანიას, პორტუგალიასა და ავსტრიას ვაჯობეთ, მაგრამ მათ „ოქრო-ვერცხლის“ უკეთესი ნადავლით გაგვისწრეს).

დავძენთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრციდან მხოლოდ რუსეთს, მასპინძელს, ბელარუსსა და უკრაინას ჩამოვრჩით, თავად კი უკან შვედეთი, ფინეთი, ხორვატეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი და სხვა ძლიერი სპორტული ქვეყნები მოვიტოვეთ, თანაც, დასანანია, რომ ოქროს მედლის აღების კიდევ რამდენიმე რეალური შანსი გავუშვით ხელიდან, თორემ შედეგი უფრო სოლიდური გვექნებოდა. ამავე დროს, სასიამოვნო სიურპრიზი იყო მშვილდოსანთა შერეული წყვილის – ხათუნა ნარიმანიძე,ლაშა ფხაკაძე და მხატვრულად ტანმოვარჯიშის სალომე ფაჟავას ბაფთით დამსახურებული ვერცხლის ჯილდოები.

ბეჟან დოლიძე

ტური ერთი ლიეტუველი ტურისტისთვის...

17 მარტის შემდეგ დედაქალაქის ქუჩებში ყველასთვის კარგად ნაცნობი ორსართულიანი წითელი ავტობუსები არავის უნახავს, თუმცა 25 სექტემბერიდან გამოვიყვანეთ ჩვენი წითელი ავტობუსი და 15 ლარად ვასეირნებთ ქართველებს. წაგებაში ვართ, მაგრამ მაინც მინდა, რომ ვიმუშაოთ. ეს ავტობუსი დავაყენე იმის საჩვენებლად, რომ ჩვენ არსად გავმქრალვართ. პანდემიამდე 7 ოფისი გვქონდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი დავიტოვეთ, რადგან 17 მარტის შემდეგ ფაქტობრივად, ჩეკი არ ამოგვირტყამს. მყავდა 120 თანამშრომელი, ახლა 5-6 კაცი ვცდილობთ, რომ ნელ-ნელა ისევ აღვადგინოთ მუშაობა.

„სულ 13 ერთეული ავტობუსი მყავს — ამჟამად მხოლოდ ერთი მუშაობს, მაგალითად დღეს ერთი კაცი მოვიდა, ლიეტუველი და მხოლოდ ის ვასეირნეთ, ეს მაშინ როდესაც კოვიდ-19-მდე დღეში 200-300 ტურისტი გვყავდა,“ — ამბობს City Tour-ის დამფუძნებელი გერმან ჭელიძე.

კომპანია City Tour-ი 2019 წელს დაახლოებით 80 000 ტურისტს მოემსახურა, აქვს დედაქალაქის, ყაზბეგის, კახეთის ერთდღიანი თუ ორდღიანი ტურები. როგორც კომპანიაში განმარტავენ, გასული წლის ბრუნვა 5 მილიონი ლარი იყო, რომელიც ახლა ფაქტობრივად განულდა.

„ჩვენ ვცდილობთ, რომ ქართულ ბაზარს მოვერგოთ, გვაქვს რეკლამა და ამიერიდან ორსართულიანი ავტობუსით გასეირნება 15 ლარი ეღირება. 2-სართულიან ავტობუსში ყველას ერთჯერადი ყურთსასმენები ექნება, რეკომენდაციების გათვალისწინებით ყველას დაურიგდება პირბადე, ტურის ხანგრძლივობა არის საათნახევარი და ქართულ ენაზე ჩატარდება. იქნებ შაბათ-კვირას ბავშვები მაინც გასეირნოს ვინემ. დიდი მოლოდინი არ მაქვს, მაგრამ არ მინდა, ხალხმა დაგვიწყოს, რადგან უკვე 6 წელია, ბაზარზე ვართ,“ — ამბობს გერმან ჭელიძე.

მარიამ მორგოშია

თბილისელებო! - ღია სივრცეშიც ვატაროთ ნიღაბი (პირბადე)!

მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დღევანდელ სხდომაზე, საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებები განიხილა.

სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ თბილისში აღინიშნება კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდა, თუმცა მკაცრი სისტემური შეზღუდვების დაწესება არ იგეგმება. ვირუსთან ადაპტაციის და მართვის ეტაპზე, გრძელდება ლოკალური და წერტილოვანი მიდგომები, როგორი პრაქტიკაც გამოიყენება ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა ლოკაციაზე.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს მოუწოდებს, მაქსიმალურად შეასრულონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების რჩევები, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და მაქსიმალურად შეინარჩუნონ მუშაობის დისტანციური რეჟიმი. საბჭო რეკომენდაციით მიმართავს ხანდაზმულებს, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, მაქსიმალურად დარჩნენ სახლში. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქში მობილობა განსაკუთრებით მაღალია და ვირუსიც შესაძლოა, უფრო სწრაფად გავრცელდეს, საბჭოს რეკომენდაციაა, მოქალაქეებმა ნიღაბი (პირბადე) ღია სივრცეებშიც ატარონ, რამდენადაც ის მსოფლიოში ამ ეტაპზე თავდაცვის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა.

საბჭომ განიხილა სკოლებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და მდგომარეობა საბავშვო ბაღებში, სადაც საალმზრდელო პროცესი დღეიდან განახლდა. აღინიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში გამოვლენილ ინფიცირების შემთხვევებთან მიმართებაში, როგორც სკოლებში, ისე ბაღებში, დაუყოვნებლივ ლოკალურად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნული მიდგომა შენარჩუნდება.

რაც შეეხება აჭარის რეგიონში არსებულ ვითარებას, სპეციალისტების შეფასებით, ის ნელ-ნელა სტაბილურდება, თუმცა ამ ეტაპზე რეგიონში დაწესებული შეზღუდვები ძალაში რჩება. იმ შემთხვევაში, თუ აჭარაში სტაბილური მაჩვენებლები ვირუსის საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდება, შეზღუდვების მოხსნა ეტაპობრივად დაიწყება.

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ასევე იმსჯელა კლინიკებში არსებულ მდგომარეობასა და სისტემური ტესტირებების პროცესის მიმდინარეობაზე. აღინიშნა, რომ ჯანდაცვის სისტემაში სრული მობილიზაციაა და საკმარისი რესურსიც არსებობს, კლინიკური მართვის გაძლიერების მიზნით კი, თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით მოქმედი ჯგუფის გარდა, შეიქმნა დამატებით რეანიმატოლოგთა ცალკე ჯგუფი, რომელიც ცენტრალიზებულად მართავს საქართველოს მასშტაბით არსებულ კლინიკებში მყოფი კრიტიკული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას. რაც შეეხება მიზნობრივ და სისტემურ ტესტირებას, საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალს, როგორც მაღალი რისკის ჯგუფს, 72 საათში ერთხელ PCR-ტესტირება ჩაუტარდება.

თბილი და უნალექო ამინდები დაბრუნდა

15 ოქტომბრამდე საქართველოში თბილი და უნალექო ამინდი იქნება.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 14 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში შენარჩუნდება თბილი და უნალექო ამინდი.

15 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში შესაძლებელია, მცირე წვიმა აღინიშნოს. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში +27, +32, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში +22, +27 გრადუსია მოსალოდნელი. თბილისში თბილი და უნალექო ამინდი იქნება. ჰაერის ტემპერატურა +24, +26 გრადუსი დაფიქსირდება.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თინათინ აფციაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინათინ აფციაური (პ/ნ 20001055895), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №242.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, შირაქი (საკადასტრო კოდი: 52.11.34.022).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18128.81 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 13 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67950120; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 679501

6. **მოვალე:** დავით ხუმარაშვილი (პ/ნ 14001001660), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152;

გივი ჯღუთაშვილი (პ/ნ 14001014800), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152;

ავთანდილ ხუმარაშვილი (პ/ნ 14001001659), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152;

დავით წიკლაური (პ/ნ 14001016632), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67950120; ლოტის ნომერი: 679501).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

ყურადღება

ეცნობოს გალინა მაკაროვას, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე № 01021001500113104 4 №2/3659/15 გადაწყვეტილების საფუძველზე თანხა მის სასარგებლოდ განთავსდა ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიას სადეპოზიტო ანგარიშზე. სანოტარო ბიუროს მისამართია ქ.ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. №10, ბინა №28.

გთხოვთ მიმართოთ აღნიშნულ ნოტარიუსს.

ანსამბლ „თუთარჩელას“ 26 წევრი ინფიცირებულია



რუსთავში, ახალგაზრდა მომღერალთა გუნდის „თუთარჩელას“ ხელმძღვანელი და გუნდის 26 წევრი კორონავირუსითაა ინფიცირებული. ამის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავი“ აქვეყნებს.

„სტაბილიურად ვგრძნობ თავს, ოჯახის პირობებში მიწევს მკურნალობა... ჯერჯერობით რამე გართულებები არ მაქვს და ამიტომ სახლში დამტოვეს. თითქოს ვილაცამ კარები გახსნა და ვირუსი ერთიანად გადმოგვაფრქვია. ყველა ერთნაირი სიმპტომით როგორ შეიძლება ვიყოთ. მე რომ არ მეთქვა ბავშვებისთვის სიცხე გაისინჯეთ-მეთქი, არ ისინჯავდნენ, არაფერი არ გვაწუხებს, მასწავლებელოო. უმეტესობა იწერება რომ ძალიან კარგადაა, მაგრამ, ვამჩნევ რომ ეს ვირუსი თანდათან, 4-5 დღეში უფრო იკრებს ძალებს. ნამდვილად ავად ვართ, ეს არ არის ტყუილი“.

სამოთხე დედამიწაზე

როგორ ცხოვრობენ მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ქვეყანაში?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც საუბარია მსოფლიოში ბედნიერების ხარისხის შესახებ. ანგარიშის მიხედვით, ზედიზედ მესამედ, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ქვეყნად ფინეთი დაასახელეს.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ფინეთში ბედნიერების მაჩვენებელმა ზრდა 2015 წლიდან დაიწყო და ამ დრომდე აგრძელებს.

ყველაზე ბედნიერი ქვეყნების სამეულში ფინეთის გარდა, დანია და შვედეთიც მოხვდნენ. ათეულში კი შევიდნენ ისლანდია, ნორვეგია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრია და ლუქსემბურგი.

მსოფლიოში ბედნიერების ხარისხი ისეთ მონაცემებს ითვალისწინებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის წილი ერთ სულ მოსახლეზე, სოციალური მხარდაჭერის დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა და საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები.

ანალიტიკური ცენტრის Next Era სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ 1960 წლიდან მოყოლებული, ფინეთის ხელისუფლება ყოველწლიურ გამოკვლევას ატარებს ჯანდაცვის, განათლებისა და დასაქმების სფეროებში, ასევე ცდილობს, გაზარდოს მოქალაქეების კომფორტი და უსაფრთხოება.

ამან ერთ დროს ევროპის ყველაზე ღარიბ ქვეყანას საშუალება მისცა, სიკვდილიანობისა და კრიმინალის მაჩვენებელი მინიმუმამდე შეემცირებინა. ამ ქვეყნის მოქალაქეების შემოსავალი საკმაოდ მაღალია, ამასთან, მას შემდეგ, რაც ისინი ყველა გადასახადს გადაიხდიან და ყოველდღიურ ხარჯებს დაფარავენ, საკმარისი რაოდენობის თანხა რჩებათ მომდევნო ხელფასის აღებამდე.

განათლების შესახებ გლობალური ანგარიშის მიხედვით, ფინეთს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო განათლების სისტემა აქვს. ეს ქვეყანა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის თავისუფლების მინიჭებით არის ცნობილი. განათლება აქ სრულიად უფასოა, თუ მოსწავლე სკოლაში მთელ სამუშაო დღეს ატარებს, მაშინ კვებასაც სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს. აქ განათლებას ბიუჯეტის საკმაოდ დიდი წილი ეთმობა — 11 მილიარდ ევროზე მეტი. ფინეთში თითქმის 100%-იანი განათლებაა.

ქართული ანიმაციური ფილმი გამარჯვებულია

ქართული ანიმაციური ფილმი „იგი“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ანიმაციის ფორუმის გამარჯვებული გახდა. ანიმაციური ფილმის რეჟისორი არის ნათია ნიკლაშვილი. პროდიუსერია ვლადიმერ კაჭარავა, ასევე კომპანია „20 Steps Productions“.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ანიმაციის ფორუმი 6-8 ოქტომბერს ვირტუალურ რეჟიში ჩატარდა. საერთაშორისო ჟიურიმ გამარჯვებულები 28 ანიმაციური პროექტიდან ოთხ კატეგორიაში გამოავლინა.



ქართველი პოეტის აღიარება

ცნობილი ქართველი პოეტი დავით მაღრაძე ორტასანჯულიოს კუნძულზე ინგლისური გამოცემა Poetry on the lake-ისა და UNESCO-ს კომიტეტის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაზე პოემისთვის „ბარაქიანი მიწა“ დაჯილდოვდა.

დავით მაღრაძეს კონკურსის მთავარი პრიზი — „ვერცხლის დრაკონი“ გადაეცა.

პოეტს საპატიო ჯილდო გამორჩეული შემოქმედებისთვის მიენიჭა, რამაც მისი ქვეყნის ლიტერატურის მიმართ სამყაროს ყურადღება გაზარდა.

დაჯილდოება ორტას ტბაზე, წმინდა ჯულიოს კუნძულზე გაიმართა.

ქართულ-ფრანგული კულტურის დღეები ლევილში

საფრანგეთში, ლევილის მუნიციპალურ ცენტრში ქართულ-ფრანგული კულტურის დღეების ფარგლებში მუსიკალური საღამო გაიმართა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ტრადიციად ქცეულ ღონისძიებას საფუძველი 18 წლის წინ ჩაეყარა და ის ყოველწლიურად ლევილის მერიისა და ამხანაგობა „ქართული კერას“ ორგანიზებით ტარდება.

„წელს, ქართულ-ფრანგული კულტურის დღეების მთავარი თემა ტრადიციული ცეკვა და ლევილური ქართულ-ფრანგული ქრონიკები იყო, რომლის ფარგლებშიც შესრულდა როგორც ქართული, ასევე ფრანგული ტრადიციული ცეკვები. აღსანიშნავია, რომ ქართული ცეკვები წარმოდგენილ იქნა XX საუკუნის ქართული წარმოშობის ფრანგული ბალეტის ვარსკვლავის ეთერ ფაღავას ქორეოგრაფიული სტუდიის ფრანგი მოცეკვავეების მიერ“,- აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციაში.

ქართულ-ფრანგული კულტურის დღეების ლევილში აღნიშვნა სიმბოლური დატვირთვის მატარებელია და ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დაბა ლევილში შეძენილი მამულის ისტორიას და მის ახალ სიცოცხლეს უკავშირდება.

2016 წელს 25-წლიანი მოლაპარაკებების პროცესი ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე დასრულდა და მამული მის კანონიერ მემკვიდრეს — ქართველ ხალხს დაუბრუნდა.

გოგონა, რომელსაც ყველაზე გრძელი ფეხები აქვს

17 წლის მაკი კარინი სიმაღლეში 2 მეტრი და 10 სანტიმეტრია — მას მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფეხები აქვს და მისი სურვილია, გახდეს მოდელი. მაკი კონკურენციას უწევს ამ დროისათვის ყველაზე გრძელი ფეხების მქონე რუს ეკატერინა ლისინას და მას აქვს შანსი, გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთის დახმარებაა!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხვალ, 14 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2172; ევრო - 3.7966;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1647;
100 რუბლი - 4.1679; თურქული ლირა - 0.4057;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8938;
1000 სომხური დრამი - 6.5523.

ამინდი 13 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge